ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი სამშაბათი 7 დეკემბერი 2004 №284 (2305) ფასი 50 თეთრი


## საქმე უკვე პროკურატურაშია

საბერძნეთის პროკურატურამ „პანიონიოს" – „დინამოს" სკანდალური მატჩის გარემოებათა გამოძიება დაიწყო, რის თაობაზეც უკვე უეფასაც აცნობა

# 1-X-2 რით დასრულდება პანიონიოს – დინამოს ამბავი?

## მოხდება ის, რომ არაფერი მოხდება

ვფიქრობ, გარიგებულ შედეგზე ცოტა ხანს კიდევ ილაპარაკებენ, უეფაც ვითომ გაჰყვება გამოძიებას, ბოლოს კი მოხდება ის, რომ არაფერი მოხდება



UEFA CHAMPIONS LEAGUE

სულ რაღაც შვიდი თვის წინ ჟოზე მაურინიუს პორტუში აღმერთებდნენ. დღეს კი მშობლიურ ქალაქს ნასტუმრები ჟოზე და მისი ახალი გუნდი, ლონდონის „ჩელსი" პორტუდან 30 კილომეტრის მოშორებით, დაბა ესპინიუში დააბინავეს და მაურინიუს ყოფილი გუნდის, „პორტუს" ქომაგებს მოარიდეს.

„არისტოკრატთა" მწვრთნელი კი თავად მოერიდა თვისტომ ჟურნალისტებს, „პორტუ" — „ჩელსის" მატჩისწინა პრესკონფერენციაზე თანაშემწე სტივ კლარკი გაგზავნა და განმუხტვის ნაცვლად ვითარება კიდევ უფრო დაძაბა.

აქამდე კი საქმე მას მერე მივიდა, რაც ლონდონურ „სტემფორდ ბრიჯზე" პორტუგალიელ ფანთაგან ნაფურთხებმა მაურინიუმ დღევანდელი, H ჯგუფის ბოლო ტურის „პორტუ" — „ჩელსის" წინ თქვა, სამშობლოში ჩასვლა სიცილიაში ჩასვლის ტოლფასია და იქ თავს უსაფრთხოდ ვერ ვიგრძნობო.

„პორტუს" ახლანდელმა მწვრთნელმა ვიქტორ ფერნანდესმა კი უეფას დადგენილი წეს-კანონი დაიცვა და ზემოხსენებულ პრესკონფერენციაზე დროულად მივიდა, თუმც ახალი არაფერი უთქვამს — ჯგუფიდან გასვლა თუ გვინდა, „ჩელსი" უნდა დავამარცხოთო.

მოკლედ, პორტუელებს სამი ქულა ჰაერივით სჭირდებათ, ჟოზე მაურინიუს კი ნაგება არ უყვარს...



## ასეთია პორტული ცხოვრება

## ლევან კობიაშვილი: შალკეული გამონაკლისი

...ძალიან კმაყოფილი ვარ ჩემი თამაშით. გოლებიც გავიტანე და ძირითადშიც შეუცვლელად ვთამაშობ, მაგრამ უფრო და უფრო მეტი მინდა. ამაზე გაჩერებას არ ვაპირებ. მთავარია, ჯანმრთელად ვიყო, თორემ თამაში რომ შემეძლო, აქამდეც ვიცოდი. ჩემი თავის ყოველთვის მჯეროდა, თუმც კიდევ უნდა მოვუმატო...

...ყველა ფეხბურთელის ოცნებაა, თავის ქვეყანაში საუკეთესო იყოს. რომ ვთქვა, მხოლოდ ამაზე ფიქრით ვიკლავ თავს და სხვა არაფერი მაინტერესებს-მეთქი, ტყუილი იქნება. ისე კი, ერთ-ერთი მიზანი ესეცაა. ერთხელ უკვე გავხდი საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელი და დღესაც მახსოვს, რა ბედნიერი ვიყავი მაშინ. იგივეზე ახლაც არ ვიტყოდი უარს, თუმც ისიც ვიცი, რომ ყველაფერი მხოლოდ ჩემზეა დამოკიდებული...

ინტერვიუ ლევან კობიაშვილთან იხილეთ მეორე გვერდზე



*„პანიონიოს“ — „დინამოს“ საუეფასთასო მატჩის გამო ატეხილი აჟიოტაჟი არც საბერძნეთის პროკურატურას გაუტარებია ყურიდან ყურში და, სააგენტო „როიტერის“ მიერ გუშინ გავრცელებული ცნობის თანახმად, ამ თამაშის გამოძიება დაიწყო, რის თაობაზეც საბერძნეთის პროკურატურამ უკვე უეფასაც აცნობა. თამაშით პროკურატურის დაინტერესება „პანიონიოს“ — „დინამოს“ საქმეს თავისთავად მეტ სერიოზულობას სძენს. გუშინვე უეფას პრესსამსახურში კი ის გვითხრეს, რომ „პანიონიოს“ — „დინამოს“ არა მათი სადისციპლინო კომიტეტი, არამედ უეფას ადმინისტრაცია იძიებს, ხოლო ადმინისტრაცია ამბობს, საქმე გრძელდებაო*

# საქმე პროკურატურაშია

## მაგრამ მოხდება ის, რომ არაფერი მოხდება

ერთი საინტერესო ამბავიც: როცა ადმინისტრაციას გამოძიების მექანიზმზე ჩამოვუგდეთ სიტყვა, პასუხად მივიღეთ: „ამ საქმის გამოძიებისთვის მნიშვნელოვანია პრესისა და ბუქმეიკერთა აზრი, ჩვენ ვეყრდნობით მათ ინფორმაციებსაც და „პანიონიოს“ — „დინამოს“ მატჩის ყოველ დეტალს დიდი ყურადღებით ვაანალიზებთ“.

ინგლისელ ბუქმეიკერთა აზრი, ბუნებრივია, ჩვენც გვაინტერესებს, მით უმეტეს, რომ „პანიონიოს“ — „დინამოს“, თურმე, ცუდი სუნი რომ სდიოდა, პირველებმა სწორედ უცნობილესმა კანტორებმა, „უილიამ ჰილმა“ და „ბეთფაირმა“ თქვეს: „ეჭვი არ მეპარება, რომ თამაში გარიგებული ანგარიშით დასრულდა“ — ეს „უილიამ ჰილის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის დირექტორის გრემ შარპის სიტყვებია. ჩვენც გუშინვე, უეფას პრესსამსახურის შემდეგ, გრემ შარპს დავუკავშირდით, თუმც რამდენიმე კითხვაზე მისგან მხოლოდ ერთი პასუხი მივიღეთ: „პანიონიოს“ — „დინამოს“ მატჩის თაობაზე უეფას რაც აინტერესებს, იმას ბრიტანეთის ბუქმეიკერთა ასოციაციასთან გაარკვევს და არა „უილიამ ჰილთან“. ჩვენ სათქმელი უკვე ვთქვით“.

სამწუხაროდ, ბრიტანეთის ბუქმეიკერთა ასოციაციასთან გუშინვე დაკავშირება ვერ მოხერხდა. თუმც, სამაგიეროდ, დავუკავშირდით ჩვენს ბერძენ კოლეგა ვასილის ნიკოლაიდისს, ვინც ბერძნულ პრესაში სწორედ „პანიონიოსზე“ მუშაობს. მისი ნათქვამი საკვირველი იყოო, ვერ ვიტყვით, თუმც ფაქტია, ნიკოლაიდისიც ისე ფიქრობს, როგორც საფეხბურთო საქმეებში სხვაც ბევრი ჩახედული, ანუ ამ თამაშის შემდეგ ატეხილი მითქმა-მოთქმა მალე ჩაწყნარდება და ალარავის ეხსომება, მატჩი მართლაც გარიგებული იყო თუ არა...

— „პანიონიოს“ — „დინამოს“ შეხვედრას თავად ვესწრებოდი და მართალია ის ხალხი, ვინც ამბობს, დიდი ვერაფერი სანახაობა იყოო. მართალია ისიც, რომ მატჩის დაწყებამდე ქომაგები ლაპარაკობდნენ, პირველ ტაიმს „დინამო“ მოიგებს, მატჩს — „პანიონიოსიო“. თამაშის მიმდინარეობისას კი საერთოდ, ნახევარი სტადიონი ამ აზრზე იყო. ჩვენ, ჟურნალისტებს, ქომაგთა სიტყვებისთვის ყურადღება არ მიგვიქცევია და საქმეც ჩვეულებრივ გავაკეთეთ. მეორე დღეს ბერძნულ პრესაში სიტყვა არ დაწერილა, თამაში გარიგებული იყო თუ არა. ვერ ვიტყვი, უეფას გავრცელებული ინფორმაციის შემდეგ აჭრელდა ბერძნული გაზეთებიო, თუმც ამ ამბით, რა თქმა უნდა, ჟურნალისტები დავინტერესდით. ისე კი არც ახლაა, ყოველდღიურად „პანიონის“ — „დინამოზე“ [illegible]. გაინტერესებთ, რას ვფიქრობ? ვფიქრობ, რომ გარიგებულ [illegible] ცოტა ხანს კიდევ ილაპარაკებენ, უეფაც ვითომ გაჰყვება გამოძიებას, ბოლოს კი მოხდება ის, რომ არაფერი მოხდება. „პანიონიოსმა“ თავისი პოზიცია უკვე დააფიქსირა, რამდენადაც ვიცი, განცხადება გააკეთა „დინამომაც“. ვფიქრობ, ამით ყველაფერი დამთავრდა...

საქმე ისე ვითარდება, ძნელია, კოლეგას არ დაეთანხმო.

მაგრამ ცუდი ისაა, რომ გულშემატკივარს, ქართველსაც და უცხოსაც, ეჭვი ღრღნის.

ვნახოთ, დაველოდოთ, აგერ უეფა და საბერძნეთის პროკურატურა, აგერ ბუქმეიკერები და აგერ პრესა...

**კობა ინასარიძე**

### დინამოს ყბადაღებული ტაიმ-ბოლები

ბატე 2:3 (2:0) დინამო
სლავია 3:1 (0:1) დინამო
ვისლა 4:3 (0:2) დინამო
პანიონიოსი 5:2 (0:1) დინამო



# შალკეული გამონაკლისი: ქართველის გუნდი ლიდერია. ქართველი გუნდში ლიდერია

*გეხსომებათ სკოლის დერეფნის კედელზე ჩამოკიდებული დაფა წარწერით: „ვინ გვასახელებს!“. დღევანდელ ქართულ ფეხბურთშიც რომ იყოს ასეთი დაფა, მასზე ლევან კობიაშვილის სურათი წლობით იქნებოდა. გელზენკირხენის „შალკეს“ ქართველი ნახევარმცველი ბუნდესლიგაში ერთ-ერთი გამორჩეული ფიგურაა. „კობიმ“ გუშინწინ „დორტმუნდთან“ რურულ დერბიშიც იყოჩაღა, როცა მახვილგონივრული პასით გაატანინა ბრაზილიელ აილტონს. მოკლედ, „კობი“ და „შალკე“ ბუნდესლიგას ლიდერობენ და ჩვენებურთან საუბარიც აქედან დავიწყეთ...*

— ჩვენ და „ბაიერნს“ თანაბარი ქულები გვაქვს და ცხრილის სათავეშიც ერთად ვართ. რა თქმა უნდა, ეს ამბავი ძალიან გვიხარია, მაგრამ სერიოზულ წარმატებამდე ჯერ შორია. სეზონის ბოლომდე ბევრი თამაში გვაქვს გადასატანი.

— „დორტმუნდთან“ მატჩზე რას იტყვი?

— ძალიან მნიშვნელოვანი თამაში იყო. „შალკეს“ და „დორტმუნდს“ ისტორიულად სძულთ ერთმანეთი, თუმც ეს თამაში სატურნირო თვალსაზრისითაც მძიმე იყო. ამიტომ კმაყოფილი ვარ, რომ მოვიგეთ და გულშემატკივრები გავახარეთ. „შალკე“ დღეს „დორტმუნდზე“ უკეთესი გუნდია და სამ ქულას ალალად ვიმსახურებდით.

— „დორტმუნდის“ და „შალკეს“ თამაშს დიდი გამოხმაურება მოჰყვა გერმანიაში...

— ამ გუნდების თამაში გერმანიაში წლის მატჩად მიიჩნევა და ყოველთვის უდიდეს ინტერესს იწვევს. გუშინდელი თამაში კი სხვა მხრივაც დაძაბული იყო — ექვსი წელია, „შალკეს“ დორტმუნდში არ წაუგია და ეს სერია სულ მცირე, ერთი წლით კიდევ გავაგრძელეთ.

— ამ სეზონში გოლებთან ერთად საგოლე პასებსაც უხშირებ. თუნდაც იმავ „დორტმუნდთან“ აილტონისთვის მიცემული პასი რად ღირს...

— რა ვთქვა, არც ვიცი... მართლა ძალიან კმაყოფილი ვარ ჩემი თამაშით. გოლებიც გავიტანე, ძირითადშიც შეუცვლელად ვთამაშობ, მაგრამ უფრო და უფრო მეტი მინდა. ამაზე გაჩერებას არ ვაპირებ. მთავარია, ჯანმრთელად ვიყო, თორემ თამაში რომ შემეძლო, აქამდეც ვიცოდი. ჩემი თავის ყოველთვის მჯეროდა, თუმც კიდევ უნდა მოვუმატო.

— წინა სეზონში „შალკეში“ 7-ნომრიანი მაისურა გეცვა. ახლა 3 ნომერი რატომ აირჩიე?

— მე არ ამირჩევია. სეზონის წინ მწვრთნელმა შემიცვალა. მაშინ იუპ ჰაინკესი გვწვრთნიდა და მანვე გადაწყვიტა, რამდენიმე ფეხბურთელისთვის ნომერი შეეცვალა.

— კი მაგრამ, რატომ?

— ჰაინკესის აზრით, მცველს, ნახევარმცველსა და თავდამსხმელს შესაბამისი ნომერი უნდა ჰქონოდა. მისი შეხედულებით, მე რატომღაც მცველი გამოვედი და 3 ნომერი მომცა. ამისთვის დიდი ყურადღება არც მიმიქცევია. ისე, ჰაინკესის მადლობელი ვარ, 3 ნომრით უფრო კარგად ავთამაშდი.

— ესე იგი, ამას რაიმე ცრურწმენასთან კავშირი არ აქვს...

— არა, მაგრამ, ყველაფრის მიუხედავად, სამიანი მაინც არ მომწონს და ჩემი ნება რომ იყოს, 7 ნომერს დავიბრუნებდი.

— თვლი, რომ სეზონი ასე წარმატებულად აქამდე არასოდეს დაგიწყია?

— მგონი, მართლა ასეა. მსგავს წარმატებულ პირველ წრეს ვერ ვიხსენებ — ნაღდად ეს იყო საუკეთესო ჩემს კარიერაში. არადა, ადრე დაწყება სულ მიჭირდა, ყოველთვის სეზონის ბოლოსკენ ვუმატებდი. ახლა სხვანაირადაა...

— და ალბათ საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელობასაც უმიზნებ...

— ყველა ფეხბურთელის ოცნებაა, თავის ქვეყანაში საუკეთესო იყოს. რომ გითხრა, მხოლოდ ამაზე ფიქრით ვიკლავ თავს და სხვა არაფერი მაინტერესებს-მეთქი, ტყუილი იქნება. ისე კი, ერთ-ერთი მიზანი ესეცაა. ერთხელ უკვე გავხდი საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელი და დღესაც მახსოვს, რა ბედნიერი ვიყავი მაშინ. იგივეზე ახლაც არ ვიტყოდი უარს, თუმც ისიც ვიცი, რომ ყველაფერი მხოლოდ ჩემზეა დამოკიდებული.

**ბაჩა შალამბერიძე**

### ინგლისი

პრემიერლიგა. XVI ტური

მიდლსბრო 3:2 მანჩესტერ სიტი

### საფრანგეთი

II დივიზიონი. XVIII ტური

შატორუ 2:1 დიჟონი

### გერმანია

II ბუნდესლიგა. XVI ტური

მიუნხენი 2:1 ფიურტი

### პორტუგალია

სუპერლიგა. XIII ტური

ბენფიკა 2:1 ეშტორილი

### იტალია

სერია B. XVI ტური

ტრიესტინა 0:2 პიაჩენცა

### ჩეხეთი

გამბრინუს ლიგა. XVI ტური

ზლინი 2:0 ტეპლიცე

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

საქართველოს 16 ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
მეორე წრე 18 ტური
მიმოხილვა

# დაველოდოთ ხეში წყალს

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 18 | 12 | 3 | 3 | 40:19 | 39 |
| ტორპედო | 18 | 11 | 6 | 1 | 32:11 | 39 |
| თბილისი | 18 | 10 | 4 | 4 | 38:22 | 34 |
| ვიტ ჯორჯია | 18 | 8 | 4 | 6 | 30:25 | 28 |
| ლოკომოტივი | 18 | 7 | 7 | 4 | 25:16 | 28 |
| ბათუმი | 18 | 6 | 5 | 7 | 22:16 | 23 |
| ზესტაფონი | 18 | 6 | 1 | 11 | 16:36 | 19 |
| კოლხეთი | 18 | 5 | 4 | 9 | 17:23 | 19 |
| სიონი | 18 | 4 | 2 | 12 | 15:42 | 14 |
| დილა | 18 | 2 | 2 | 14 | 13:38 | 8 |

| | | |
|---|---|---|
| ტორპედო | 2:2 | თბილისი |
| დინამო | 1:0 | ბათუმი |
| ლოკომოტივი | 3:1 | დილა |
| კოლხეთი | 3:0 | სიონი |
| ზესტაფონი | 3:1 | ვიტ. ჯორჯია |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სადღეგრძელო თქვი, ქომაგო

ესეც ასე — მე-16 ეროვნული ჩემპიონატის პირველი ეტაპი ჩავამთავრეთ. დაგვრჩა რამდენიმე სასიამოვნო, უფრო მეტი უსიამოვნო შტრიხი და... მძაფრსიუჟეტიანი ცხრილი.

ერთი კი ცხადია, საჩემპიონატო სუფრაზე არჩეულ თამადას თამამად შეუძლია ასეთი სადღეგრძელო შესვას: მკვდრეთით აღდგომისა იყოს! დიახ, ჩემპიონატი ჩამქრალ თვალებს ახელს და იქნებ მალე მიიხედ-მოიხედოს, ნამდვილი ფეხბურთი დაინახოს და მიმსგავსება მოინდომოს.

სადღეგრძელოები კი, იცოცხლეთ, მონაწილე გუნდებსაც ბლომად აქვთ. „ტორპედომ“ თქვა, ჩემ ფეხზე დადგომას და ლიდერებში დაბრუნებას გაუმარჯოსო; „დინამომ“, პირველ ეტაპზე ყველაზე მეტი გოლი გავიტანე და იმ მცველმეკარეებისა იყოს, ჩემს თავდამსხმელებს ხელი რომ ვერ შეუშალესო; „თბილისმა“ თქვა, ჩემი თამადობით მომავალს გაუმარჯოსო; „ვიტ ჯორჯიამ“, წარსულის მოგონებისა იყოსო; „ლოკომოტივმა“ თქვა, საითაც წავალ, სულ აბრეშუმის გზაზე მევლოსო; „ბათუმმა“, ვინც ასლან აბაშიძის დროინდელ „ბათუმს“ გულშემატკივრობდა, ჩემზე გული არ ეტკინოსო; „კოლხეთმა“, ჩემი პორტის წონა ფულს მოვსწრებოდეო; „სიონმა“, ყველა გაჭირვებულს გაუმარჯოსო; „დილამ“... ეეჰ ამ დროს სუფრის წევრები ისე დათვრნენ, რომ ყველამ ერთბაშად საცეკვაოდ გაიწია და გორელების სადღეგრძელო ვერავინ გაიგონა.

მოკლედ, პირველი ეტაპი დაგვიმთავრდა და გუნდებს მოსამზადებლად თებერვლამდე აქვთ დრო. მთავარი აწი იწყება — გაზაფხულის ბოლოს ხომ დამაგვირგვინებელი ბანკეტი იქნება და ვინ როგორი განწყობით იტყვის სადღეგრძელოებს, მაშინ ვნახავთ.



„ტორპედო“ ზამთრის ჩემპიონობას „თბილისთან“ მატჩში ვერ შესწვდა

## დილას ჩაი, საღამოს ჩაი...

მურაბიანი ჩაი და თაფლკარაქიანი პური სკოლაში წასვლის წინ, იცოცხლე, კარგი საუზმე იყო, მაგრამ როცა 90 წუთი თამაში გელის და უნდა ირბინო, ჩაი საწვავად არ გამოდგება. არაერთი ქართული გუნდის მწვრთნელს დაუჩივლია, მშიერ ფეხბურთელს მთელი მატჩის განმავლობაში სირბილი როგორ მოვთხოვოო. „ლოკომოტივი“ — „დილას“ შეხვედრის შემდეგ გორელთა მწვრთნელმა სოსო ვაშაკიძემ თავის გუნდში ორი მშიერი ფეხბურთელი აღმოაჩინა. ვაშაკიძეს ძმებ ხანიშვილებისთვის უკითხავს, რა ნელა დარბიხართ, დილით არაფერი გიჭამიათო? ხანიშვილებმა უპასუხეს, ბებიამ დილით თითო ჭიქა ჩაი დაგვალევინაო. ასე რომ, სოსო ვაშაკიძეს დამატებითი სატკივარიც გაუჩნდა — ხომ უნდა იცოდეს მწვრთნელმა, ფეხბურთელმა ჩაი დალია თუ ჩაიმ დალია მისი ჯანი?



| ბომბარდირები | |
|---|---|
| 12-მეგრელაძე | ტორპედო |
| მელქაძე | დინამო |
| 10-ოდიკაძე | თბილისი |
| ბობოხიძე | ლოკომოტივი |





## კაცური ამბავი

### რას სიმონობ მაქანე...

ქუთაისში ხალხი სტადიონზე ისე აღარ დადის, როგორც რამდენიმე წლის წინ, როცა „ტორპედოში“ ზურაბ იონანიძე და მალხაზ ასათიანი თამაშობდნენ. ქვების სროლაც აღარაა, მაგრამ უცნაურობები კვლავაც გრძელდება. სტუმართა ლოჟიდან ქუთაისელმა ქუთაისელები გააფრთხილა, თბილისელებს არ შეაგინოთ თორემ... ერთ ქუთაისელს ამ ქუთაისელის ნათქვამი ცუდად ენიშნა და, ვინც ქუთაისელებს აგინებს, მაგათიო... მერე ის ქუთაისელი ამ ქუთაისელს მიუვარდა, სტუმართა ლოჟიდან ტრიბუნისკენ გაექანა, თანაქალაქელს ქუდი თვალებზე ჩამოაფხატა — ფოტოზეც სწორედ ეს ჩანს.

და რაც ყველაზე სასიამოვნოა, „ტორპედოს“ პრესლოჟასთან ახლოს მჯდომი ახალგაზრდა ქალბატონიც ქომაგობდა, ვინც ისე იყო გათვითცნობიერებული ეროვნულ ჩემპიონატში, რომ წარამარა გაიძახოდა, სანდრო იაშვილს ბურთზე თავი არ დაარტყმევინოთო. თბილისელთა ფორვარდს თავურები მაინცდამაინც არ გამოსდიოდა, მაგრამ ცაციით სუპერგოლი მაინც გაუტანა ქუთაისელებს. იაშვილის თავს კი ქუთაისში თურმე ქალებიც იცნობენ.



## მოკენწლავე ნიძლავბიჭუნა

ბიჭობაში კენწვლით ვინ არ ერთობა, მაგრამ ეს ყმაწვილი მონიძლავეებსაც კარგად კენწლავს. ამ ქუთაისელ ბიჭს, ინგლისის ეროვნული ნაკრების სამოსი რომ ჩაუცვამს (ისე, რატომ უნდა ეცვას „ტორპედოს“ „აუტჩიკს“ ინგლისის ნაკრების ან „რეალის“ ფორმა, ეს ცალკე სალაპარაკოა) და „ტორპედო“ — „თბილისის“ მატჩზე ბურთის მიმწოდებლად გარჯილა, ბაკურ გულუა ჰქვია, ხოლო მამამისი ნიძლავებს დებს, ჩემი ბიჭი ათასს თუ ორი ათასს აკენწლავსო. ნიძლავს გულუები იგებენ.

### სიმბოლური ნაკრები

| | |
|---|---|
| მიხეილ ბობოხიძე | ლოკომოტივი |
| გიორგი ძურციკიძე | ზესტაფონი |
| სანდრო იაშვილი | თბილისი |
| მიხეილ კაკალაძე | დინამო |
| სერგეი ნუდნი | ზესტაფონი |
| გივი კვარაცხელია | თბილისი |
| გიორგი თურმანიძე | ზესტაფონი |
| დავით კვირკველია | დინამო |
| დავით გამეზარდაშვილი | ტორპედო |
| ზურაბ ძამსაშვილი | ზესტაფონი |
| ბექა შეყრილაძე | თბილისი |

გუნდი: ზესტაფონი

მწვრთნელი: თემურ მახარაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა



ახალგაზრდაა თუ ძველგაზრდა,თემურ ქეცბაიამ გოლის გატანა იცის

# ცხოვრებისეული ამბავი

## ის როგორ არის? გადასარევად! ის? მტრისას...

| სახელი გვარი | გუნდი | სად | მეტოქე | წთ | შენიშვნა | თ | გ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **იტალია. სერია A** | | | | | | | | |
| კახა კალაძე | მილანი | ს | პარმა 2:1 | 0 | განაცხადში არ იყო | 7 | 1 | 2 |
| **გერმანია. ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| ლევან კობიაშვილი | შალკე | ს | დორტმუნდი 1:0 | 90 | საგოლე პასი | 14 | 3 | 2 |
| ალექსანდრე იაშვილი | ფრაიბურგი | შ | ვერდერი 0:6 | 90 | | 14 | 2 | 18 |
| ლევან ცქიტიშვილი | ფრაიბურგი | შ | ვერდერი 0:6 | 66 | შეცვალეს | 12 | 1 | 18 |
| **გერმანია. მეორე ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| ხვიჩა შუბითიძე | აუე | ს | ზაარბრიუკენი 1:2 | 9 | შეცვლაზე ითამაშა | 9 | 1 | 8 |
| დავით სირაძე | ტრირი | ს | დინამო 1:4 | 11 | შეცვლაზე ითამაშა | 7 | 0 | 11 |
| **შოტლანდია. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| შოთა არველაძე | რეინჯერსი | ს | ინვერნესი 1:1 | 0 | ტრავმირებულია | 12 | 2 | 2 |
| ზურაბ ხიზანიშვილი | რეინჯერსი | ს | ინვერნესი 1:1 | 90 | გააფრთხილეს | 11 | 0 | 2 |
| **ავსტრია. მაქსბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| დავით მუჯირი | შტურმი | შ | ტიროლი 0:0 | 57 | შეცვალეს | 19 | 4 | 9 |
| **საბერძნეთი. ეროვნული ლიგა** | | | | | | | | |
| ირაკლი ვაშაკიძე | არისი | ს | აპოლონი 1:0 | 0 | | 3 | 0 | 14 |
| ლევან მალრაძე | ქსანთი | ს | პანიონიოსი 0:0 | 90 | | 9 | 0 | 5 |
| **უკრაინა. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| ალექსანდრე ამისულაშვილი | დინამო | ს | კრივბასი 2:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 1 |
| გიორგი დემეტრაძე | მ. დონეცკი | ს | არსენალი 1:2 | 0 | | 14 | 3 | 3 |
| ლაშა ჯაკობია | მეტალისტი | შ | ჩერნომორეცი 0:1 | 0 | | 11 | 1 | 7 |
| გია ჭანტურია | ტავრია | ს | ბორისფენი 1:0 | 0 | | 2 | 0 | 11 |
| ვასილ გიგიაძე | ტავრია | ს | ბორისფენი 1:0 | 90 | | 14 | 7 | 11 |
| ირაკლი მოდებაძე | მ. ზაპოროჟიე | შ | ვორსკლა 1:0 | 0 | | 7 | 3 | 12 |
| ლაშა ჭელიძე | მ. ზაპოროჟიე | შ | ვორსკლა 1:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 1 | 0 | 12 |
| **თურქეთი. პირველი ლიგა** | | | | | | | | |
| გივი დიდავა | ქოჯაელი | ს | ადმანიურდუ 2:2 | 0 | ტრავმირებულია | 6 | 0 | 8 |
| **კვიპროსი. პირველი დივიზიონი** | | | | | | | | |
| თემურ ქეცბაია | ანართოსისი | შ | ოლიმპიაკოსი 5:0 | 72 | შეცვლაზე ითამაშა, 1 გოლი | 9 | 2 | 2 |
| გიორგი ქინქლაძე | ანართოსისი | შ | ოლიმპიაკოსი 5:0 | 90 | 1 გოლი, 2 საგოლე პასი | 8 | 2 | 2 |
| კლიმენტი ნიტაიშვილი | ანართოსისი | შ | ოლიმპიაკოსი 5:0 | 90 | | 10 | 2 | 2 |
| გიორგი გაბიდაური | ანართოსისი | შ | ოლიმპიაკოსი 5:0 | 0 | | 2 | 0 | 2 |
| დავით ჩალაძე | ანართოსისი | შ | ოლიმპიაკოსი 5:0 | 20 | შეცვლაზე ითამაშა | 6 | 1 | 2 |
| ლევან ქებაძე | პარალიმნი | ს | ომონია 0:1 | 90 | | 10 | 3 | 12 |
| გიორგი ანჩაბაძე | პარალიმნი | ს | ომონია 0:1 | 30 | შეცვლაზე ითამაშა | 10 | 2 | 12 |
| გიორგი ქორიძე | ოლიმპიაკოსი | ს | ანართოსისი 0:5 | 55 | შეცვალეს | 6 | 1 | 6 |

*შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში*

*მთავარი ამბები კვლავაც გერმანიიდან მოდის,* მთავარი კაცი კი კვლავაც *ლევან კობიაშვილია*. „შალკეს“ ქართველი ნახევარმცველი თამაშიდან თამაშამდე ამტკიცებს, რომ ბუნდესლიგაში თავისი სიტყვის თქმა შეუძლია.

გელზენკირხენელებმა ურთულეს ჯახში 1:0 მოუგეს „დორტმუნდს“ და მიუნხენის „ბაიერნს“ ლიდერობაში შეეზიარნენ. „კობი“, რა თქმა უნდა, გამოირჩა — ბრწყინვალე საგოლე პასით, მოედნის ცენტრში შეუპოვარი თამაშით და რამდენჯერმე სახიფათო შეტევის წამოწყებით.

უსიამოვნო ტრადიციასავით იქცა — „შალკეს“ კარგი ამბების შემდეგ „ფრაიბურგის“ სიბეჩავეზე გვიხდება წერა. „ხუმარები“ თუ ბუნდესლიგის კენწეროში ნებივრობენ, ფრაიბურგელები ფსკერზე ილექებიან. 0:6 — ასეთი სირცხვილი ფოლკერ ფინკეს გუნდს ამ სეზონში არ უნახავს. „ვერდერმა“ იოტისოდენა შანსიც კი არ მისცა მეტოქეს. *ალექსანდრე იაშვილმა* სრულად ითამაშა, *ლევან ცქიტიშვილი* კი 66-ე წუთზე შეცვალეს. კითხვა კი რჩება: ეშველება რამე „ფრაიბურგს“?

*შოტლანდიაში ლიდერი შეიცვალა.* „რეინჯერსმა“ პირველ ადგილზე ყოფნა ვერ შეიფერა და უსახელო „ინვერნესთან“ დაკარგული ქულებით გზა „სელტიკს“ დაუთმო. გუნდს ტრავმის გამო ისევ ვერ ეხმარება *შოთა არველაძე*. სამაგიეროდ, *ზურაბ ხიზანიშვილი* თამაშობს შეუცვლელად. „რეინჯერსი“ კი ორი ქულით ჩამორჩება „სელტიკს“.

*ქართულ რევოლუციურ ტალღაზე მომართულ უკრაინაში ქართველებს აღარ სწყალობენ.* იქაურ უმაღლეს ლიგაში ოდენ *ვასილ გიგიაძემ* ითამაშა, დანარჩენები არ გამოჩენილან. მათ შორის ყველაზე გასაკვირი გიორგი დემეტრაძის არყოფნაა — დონეცკის „მეტალურგმა“ „დემეს“ გარეშეც „შეძლო“ კიევში „არსენალთან“ წაგება — 1:2.

*კვიპროსის ჩემპიონატში კი გიორგი ქინქლაძე მოექცა ყურადღების ცენტრში.* „ანართოსისმა“ 5:0 მოუგო „ოლიმპიაკოსს“, ქინქლაძემ კი ერთი გოლი გაიტანა და საგოლე პასებიც გააკეთა. ფამაგუსტელთაგან ერთი გოლი მოთამაშე-მწვრთნელმა *თემურ ქეცბაიამაც* მიითვალა. „ანართოსისი“ კი მეორე ადგილზეა და ოდენ ბურთების უარესი შეფარდებით ჩამორჩება ლიდერს.

**ბაჩა შალამბერიძე**

# კვიპროსული მოტივაცია ნაკრებია

## პირველი 90: გოლი და სამი პასი

*კვიპროსის ჩემპიონატის ბოლო ტურში „ანართოსისმა“ „ოლიმპიაკოსს“ 5:0 მოუგო და გიორგი ქინქლაძემ მეორე კვიპროსული გოლი შეაგდო. 31 წლის ქინქლაძე თითქმის წელიწადნახევრიანი პაუზის შემდეგ ფეხბურთელობას რომ დაუბრუნდა, თავისთავად საინტერესო ფაქტია და იქნებამით ალენ ჟირესიც დაინტერესდეს*

— გოლი შორიდან გავიტანე, დაახლოებით 25 მეტრიდან, კიდევ სამი საგოლე პასი გავაკეთე.

— ეს შენთვის ჯერჯერობით საუკეთესო ანართოსისული თამაში იყო?

— ეგრე გამოდის, თანაც მთელი 90 წუთი „ანართოსისში“ პირველად ვითამაშე.

— ოპტიმალურ ფორმამდე კიდევ რამდენი გიკლია?

— თავს ნორმალურად ვგრძნობ, უკვე მესამე მატჩი ვითამაშე სასტარტოში.

— კვიპროსის ჩემპიონატზე რა შთაბეჭდილება შეგექმნა?

— კვიპროსის ჩემპიონატი რა რანგის იქნება, ალბათ დაახლოებით ყველამ იცის, მაგრამ ჩემთვის მთავარია, რომ ვითამაშო.

— „ანართოსისამდე“, ფაქტობრივად წელიწადნახევარი არ გითამაშია და 31 წლისამ კვლავ გადაწყვიტე თამაში — ყველაზე უფრო რომ გადაგადგმევინა ასეთი ნაბიჯი?

— ამის ყველაზე მთავარი მიზეზი ისაა, რომ ნაკრებში დაბრუნება მინდა.

— ხომ არ იცი, ალენ ჟირესი შენით დაინტერესებულია თუ არა, „ანართოსისის“ მოთამაშე-მწვრთნელ თემურ ქეცბაიასთან ხომ არ ულაპარაკია შენ შესახებ?

— ჟირესის დაინტერესების შესახებ არაფერი ვიცი. ისიცაა, რომ მე ფეხბურთის თამაშს კი არ ვიწყებ, არამედ ვამთავრებ, მაგრამ საკუთარი თავის ახლა კმაყოფილი ვარ.

**დავით თავართქილაძე**






სტივენ ჯერარდი რიკ პერის „ჩელსისთვის“ არ ემეტება

# ჩელსიმ ლივერპულს 30 მილიონი აჩვენა

## ჯერარდს სიყვარული არ ჰყოფნის, ტიტულებიც უნდა

*საიანვრო ფანჯარა ახლოვდება და „ჩელსიმ“ ახალი წინადადება შესთავაზა „ლივერპულს“: 30 მილიონი გირვანქა სტივენ ჯერარდში.*

*ლივერპულელთა პასუხისმგებელმა შეფმა, რიკ პერიმ თქვა, რომ ჯერარდის დარჩენის იმედი კი აქვს, მაგრამ დაჯერებით ვერ იტყვის, რომ ფეხბურთელს აუცილებლად შეინარჩუნებს, რადგან ბიჭს ტიტულების მოგება სწადია*



**წინა კვირაში** „ლივერპულის“ თავმჯდომარის თანამდებობიდან იდუმალი მიზეზით გადადგა დევიდ მური, ჯერარდმა კი განაცხადა, რომ ამ კაცისადმი პატივისცემა მისთვის ერთ-ერთი მიზეზი იყო იმისა, რომ „ჩელსიში“ არ გადადიოდა, ევრო 2004-ის შემდეგ ამან მისი მეგობრებიც კი გააოცა. მაშინ ჯერარდმა კვირაში 120 ათასზე თქვა უარი. „ზაფხულში სტივიმ კონტრაქტი განაახლა ჩვენთან — თქვა პერიმ — ჩვენ რაიმე ტიტული უნდა მოვიგოთ, რათა საუკეთესო ფეხბურთელები შევინარჩუნოთ“.

სტივენ ჯერარდი შაბათს ძალიან უკმაყოფილო იყო იმით, რომ „ასტონ ვილასთან“ მატჩში რაფაელ ბენიტესმა შეცვალა და ნაწყენმა პირდაპირ გასახდელისკენ გააბოტა. მენეჯერმა კი განმარტა, რომ სტივის დასვენება „ოლიმპიაკოსთან“ მატჩისთვის სურდა.

24 წლის ლივერპულელის ყიდვა „არსენალსა“ და „რეალ მადრიდსაც“ სურთ, თუმც ამხელა ფულს არ გამოდიან. ბენიტესი კი ოპტიმისტურადაა განწყობილი: „სტივის უყვარს აქაურობა. მგონი, დიდად არ გაგვიჭირდება მისი შენარჩუნება“.

**ირაკლი გამყრელიძე**

*„არსენალის“ მწვრთნელმა, არსენ ვენგერმა განაცხადა, რომ შესაძლოა, ბრაზილიელი ედუ აღარ ათამაშოს. მიზეზი: მწვრთნელი შეგირდს მონდომებას ვეღარ ატყობს*

# არსენ ვენგერი ედუს ერთგულებას სთხოვს




**განვმარტოთ,** რა ხდება: ედუს სეზონის ბოლოს კონტრაქტის ვადა გაუდის და, არ არის გამორიცხული, რომ რომელიმე კონკურენტ კლუბთან წინასწარი ხელშეკრულების დადებას ფიქრობდეს, ამისი უფლება კი მას 2 იანვრიდან ექნება.

„მოკლედ, ყველაფერი ედუზეა დამოკიდებული. თუ იგი „არსენალთან“ კონტრაქტის გახანგრძლივებას არ აპირებს, მაშინ ახალი მოთამაშის ძებნას დავიწყებთ. ეს ძალიან ბუნებრივია — თქვა ვენგერმა — ჩვენ მას დარჩენას ვთავაზობთ, თუ დაგვთანხმდება, ძალიან კარგი, ხოლო თუ არა, მაშინ ჩვენს ხელში აღარაფერი იქნება. მოკლედ, 2 იანვრიდან ედუს შეუძლია, ვისთანაც უნდა, იმასთან მოაწეროს წინასწარ ხელშეკრულებას ხელი, ოღონდ ეგაა, როგორც კი ვინმესთან ხელს მოაწერს, ჩვენთვის თავდადებით თამაში გაუჭირდება, ელემენტარულად ტრავმის შეეშინდება. ერთი სიტყვით, ჩვენ ჩვენი კლუბის ინტერესებიდან გამომდინარე მოვიქცევით. „არსენალში“ ხელფასების ზღვარი არსებობს და მას პატივი უნდა ვცეთ“.

**პაპუნა ქედია**

# პერესი რომში ტოტისთვის ჩავიდა






*კვირა საღამოს „რომას“ „სამპდორიასგან“ სამი ქულა უნდოდა, მაგრამ ვერ მიიღო. სამაგიეროდ, რომაელთა კაპიტანმა, ფრანჩესკო ტოტიმ გაიტანა გოლი და შეიქნა კლუბის ისტორიაში საუკეთესო ბომბარდირის ტოლი და სწორი — ახლა მას და „ჯალორროსისთვის“ ლეგენდარულ რობერტო პრუცოს 106 გოლი აქვთ გატანილი*

**ამ შეხვედრაში** რომაელებს გასათანაბრებლად გაუხდათ საქმე — 81-ე წუთზე საჯარიმო მოედანში წამით უმეთვალყურეოდ დატოვებულმა (მოედანზე 74-ე წუთზე შესულმა) ბიაჯო პაგანომ დინამიკური მომენტი გოლით დაასრულა, მაგრამ ზუსტად სამი წუთის შემდეგ გენუელთა საჯარიმოში ბაცანიმ დელასს მაისურაზე დაქაჩა და დაინიშნა პენალტი, რომელიც, როგორც უკვე მოგახსენეთ, ტოტიმ დაარტყა.

მატჩის შემდეგ „რომას“ მწვრთნელმა, ლუიჯი დელ ნერიმ განაცხადა: „ჩვენ ძალიან ვაჯობეთ მოწინაალმდეგეს. ჩემს ფეხბურთელებს მეტს ვერც ვთხოვდი. გუნდმა დაამტკიცა, რომ ცოცხალია და იბრძვის. სამწუხაროა, რომ ანტონიო კასანო არ გვყავდა, მას ბარძაყი სტკიოდა. შემდეგ შეხვედრაში, „ბრეშასთან“ დიდებულ „რომას“ ველი“.

„სამპდორიას“ მწვრთნელმა ვალტერ ნოველინომ კი ბრძანა: „სამწუხაროა, ფრანჩესკო ფლაკის დარტყმული ბურთი ძელს რომ მოხვდა და კარში არ შევიდა. მე ასეთი „სამპდორიას“ ნახვა მახარებს და კმაყოფილი ვარ, რომ ვნახე“.

მაგრამ, ჩვენ „სამპდორიას“ საქმეები გვერდით გადავდოთ და ფრანჩესკო ტოტის დავუბრუნდეთ. „სტადიო ოლიმპიკოზე“ მატჩის დამთავრებისთანავე ცნობილი გახდა, რომ რომაელ ჩინოვნიკებს მადრიდის „რეალის“ პრეზიდენტი უნდა შეხვედროდა. დაირხა ხმა, რომ საუბრის თემაა ფრანჩესკო ტოტი, თუმცა „რომას“ სპორტულმა დირექტორმა ფრანკო ბალდინიმ ამ ეტაპზე ზოგადი სიტყვების თქმა ამჯობინა:

„ვერ გეტყვით, რა მიზნები აქვს ფლორენტინო პერესს, მაგრამ არ გამოვრიცხავ, რომ ჩვენს გუნდებს შორის ჩემპიონთა ლიგის შეხვედრის წინ მას უბრალოდ „რომას“ პრეზიდენტისთვის, ფრანკო სენსისთვის ხელის ჩამორთმევა სურს. „რეალსა“ და „რომას“ შორის, ისევე, როგორც ამ კლუბების პრეზიდენტებს შორის, ჩინებული ურთიერთობაა.“

ამის შემდეგ ბალდინიმ დასძინა, რომ იმედი აქვს ტოტისა და ანტონიო კასანოსთან „რომა“ ხელშეკრულებების გახანგრძლივებას შეძლებს.

„ეს ორი კონტრაქტი ჩვენი გუნდისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ფაქტია, პირობებზე შეთანხმება ძალიან ძნელი საქმე იქნება, მაგრამ შეუძლებელი არაფერია“.

**პაპუნა ქედია**

# აბა, ახლა იყიდეთ

## ლეჩემ ბოჟინოვს ფასი აუწია



**დიახ,** ვალერი ბოჟინოვმა წინა კვირაში „ლეჩესთან“ ახალ კონტრაქტს მიაწერა ხელი, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ამ ბულგარელ ყმაწვილს სატრანსფერო ფასი აღარ აქვს — გადაიხადეთ 20 მილიონი დოლარი და...

მანამდე კი, შეგახსენებთ, რომ ბოჟინოვმა და „ლეჩემ“ ერთმანეთს 2009 წლამდე დაუდეს ქაღალდზე იურიდიულად გაფორმებული ფიცი, რაც, უპირველეს ყოვლისა, სწორედ ფეხბურთელისთვის მაზანდის აწევისთვის იყო საჭირო, თორემ, წესითა და რიგით, ბოჟინოვი სამხრეთ იტალიის ამ პატარა ქალაქის გუნდში დიდხანს აღარ უნდა გაჩერდეს.

„კონტრაქტით ძალიან კმაყოფილი ვარ, რადგან, რაც მინდოდა და ვითხოვე, ყველაფერი გაითვალისწინეს. ასე რომ, ახლა „ლეჩეს“ შეუძლია მისთვის საჭირო და აუცილებელ 20 მილიონად გამყიდოს“.

მოგეხსენებათ, ყმაწვილის შეძენის სურვილი აქვთ ისეთ გუნდებს, როგორებიც არიან „ინტერი“, „მილანი“ და „იუვენტუსი“, თუმცა ეს სამი იტალიის კლუბია, გარედან კი „ბარსელონაზე“, „არსენალსა“ და „ჩელსიზეა“ ლაპარაკი.

**პაპუნა ქედია**

რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

# ჩემპიონთა ლიგა 2004-2005. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. დღეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

## E ჯგუფი

### პანათინაიკოსი — პსვ

სავარაუდო შემადგენლობები

ხალკიასი, ჰენრიკსენი, გუმასი, კირიაკოსი, მიუნხი, ბასინასი, მიტუ, სკაჩელი, ე. გონსალესი, კონსტანტინუ, პაპადოპულოსი

გომესი, ოიერი, ალექსი, ბუმა, ი. ლი, ვან ბომელი, ფოგელი, კოკუ, პარკი, სიბონი, ფარფანი

მსაჯი: პეტერ ფროიდფელდტი (შვედეთი)

### არსენალი — რუსენბორგი

სავარაუდო შემადგენლობები

ლემანი (ალმუნია), ჰოიტი, ტურე, კემპბელი, ე. კოული, ლიუნგბერგი, ფაბრეგასი, ფლამინი, პირესი, ანრი, რეიესი

ე. იონსენი, სტენსაასი, ჰოფტუნი, ჰანსენი, რასელი, სტრანდი, სოლი, ვინსნესი, ბრაატენი, ფ. იონსენი, ჰელსტადი

მსაჯი: სტეფანო ფარინა (იტალია)

## F ჯგუფი

### შახტარი — ბარსელონა

სავარაუდო შემადგენლობები

ლაშტუვკა, ბარკაუანი, ჰუბშმანი, სტოიკანი, ლალატოვიჩი (სრნა), დულიაი, ლევანდოვსკი (ტიმოშჩუკი), მატუზალემი, ვუკიჩი, ვორობეი (ბრანდაო), აგაჰოვა

ვ. ვალდესი, ბელეტი, პუიოლი, ოლეგერი, ვან ბრონკჰორსტი, ინიესტა, ხავი, მარკესი, დეკო, რონალდინიო, ეტოო

მსაჯი: კლაუს-ბო ლარსენი (დანია)

### სელტიკი — მილანი

სავარაუდო შემადგენლობები

ჰედმანი, ბალდე, ვალგაერენი, ვარგა, მაკნამარა, მაკგიდი, ლენონი, ს. პეტროვი, ა. ტომპსონი, სატონი, ჰართსონი

დიდა, კაფუ, ნესტა, მალდინი, პანკარო, დორასო, ამბროზინი, ბროკი, რუი კოშტა, სერჟინიო, შევჩენკო

მსაჯი:კიროს ვასარასი (საბერძნეთი)



ტიერი ანრის არსენ ვენგერმა სამი გოლი შეუკვეთა

# პინწონა-დაინწონა ლონდონი და ათენი

**პსვ-მ** მერვედფინალი უკვე გაინაღდა, მეორე საგზურის მფლობელი კი დღეს გაირკვევა. „არსენალმა“ „რუსენბორგი“ თუ დაამარცხა, ბერძნული გუნდის პსვ-სთან მოგებას ფასი დაეკარგება, რადგან „პანათინაიკოსი“ ლონდონელებს ველარ გადაასწრებს. „მეთოფეების“ შინ წაგების შემთხვევაში კი, რაც ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ არაა გამორიცხული, ათენელებს პსვ-სთან მაინც გამარჯვება სჭირდებათ, რათა ვენგერის გუნდს გადაასწრონ. „არსენალმა“ და „პანათინაიკოსმა“ თანაბარი ქულებ თუ დააგროვეს, მაშინ „მეთოფეები“ გავლენ მერვედფინალში, რადგან საბერძნეთში 2:2 აქვთ ნათამაშები და სტუმრად გატანილი ორი გოლი უპირატესობაში ეთვლებათ.

ვარიანტები ბევრია და დათვლილია. „არსენალის“ შვედი ფრედერიკ ლიუნგბერგი კი გამარჯვებაშია დარწმუნებული. „ძალიან დიდ პატივს ვცემთ „რუსენბორგს“, მაგრამ სამი ქულა ჩვენ დაგვრჩება“ — განაცხადა შვედმა.

„არსენალს“ ლორენი და კაპიტანი პატრიკ ვიეირა დისკვალიფიკაციას გამო დააკლდება. ორივე წინა ტურში პსვ-სთან მატჩში გააძევეს და დღევანდელ მატჩს გამოტოვებს. ტრავმირებულნი არიან ბრაზილიელები — ედუ და ჟილბერტო. ლორენის ნაცვლად ჰოიტი ითამაშებს, ნახევარდაცვის ცენტრს კი ფრანსისკ ფაბრეგასი და მეთიუ ფლამინი დაიკავებენ, ხოლო შეტევაში პირესი-ანრი-რეიესის ტრიო იქნება. დენის ბერხკამპის, პასკალ სიგანისა და რობინ ვან პერსის თამაში საეჭვოა, რადგან ტრავმები აწუხებთ.

„გულშემატკივრები ჩვენგან ყოველთვის მოგებას ელიან, მაგრამ მუდმივად კარგ ფორმაში ყოფნა ძნელია“ — თქვა ტიერი ანრიმ, რომელმაც პრემიერლიგის გასულ ტურში „ბირმინგემს“ ორი გოლი გაუტანა.

„რუსენბორგს“ ჩემპიონთა ლიგის ნიშნით გამართულ ბოლო 12 მატჩში ერთიც არ მოუგია, მაგრამ ნორვეგიელთა მწვრთნელი პერ იოარ ჰანსენი აცხადებს, „ჰაიბერის“ არ მეშინიაო. სტუმრებს ბერგი, ვიდარ რისეტი, კრისტერ ბასმა, მიკაელ დორსინი და ტორიუს ჰანსენი ჰყავთ დაშავებული.

თავშივე ვთქვით, პსვ-მ მერვედფინალი გაინაღდაო. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჰოლანდიელები ათენში მეტოქეს „დაუწვებიან“, თუმც ალბათ თავსაც არ შეაკლავენ. „პანათინაიკოსს“ მხოლოდ ერთი ფეხბურთელი, სრდან ანდრიჩი დააკლდებათ, ხოლო პსვ-ს იან ვენეგოორ ოფ ჰესელინკი, ჯონ დე იონგი და თეო ლუსიუსი არ ეყოლება. ასევე საეჭვოა ანდრე ოიერის და დამარკუს ბესლის თამაში.

ვაჟა ხუციშვილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პსვ ეინდჰოვენი | 5 | 3 | 1 | 1 | 5:3 | 10 |
| არსენალი | 5 | 1 | 4 | 0 | 6:5 | 7 |
| პანათინაიკოსი | 5 | 1 | 3 | 1 | 7:7 | 6 |
| რუსენბორგი | 5 | 0 | 2 | 3 | 5:8 | 2 |

# ლუჩესკუს ბარსელონა სელტიკი ჰგონია

კატალონიური „ბარსელონა“ დონეცკშია და იქაურ „შახტართან“ დიახაც რომ ითამაშებს. ალბათ გახსოვთ, ერთი კვირის წინ „ბარსას“ თავკაცებმა უეფას მიმართეს თხოვნით, უკრაინაში დაძაბული პოლიტიკური ვითარებაა და ეგებ თამაში გადაგვიდოთო. უეფამ ქვა ააგდო და თავი შეუშვირა, მატჩი დათქმულ დროს ჩატარდებაო.

ჰოდა, ჩავიდა ესპანური პრიმერას უპირობო ლიდერი თავისი ლიდერებით „იანუკოვიჩის ქალაქში“, მაგრამ ვერ ჩაიყვანა ლუდოვიკ ჟიული და ჰენრიკ ლარსონი, ორივე ხომ ტრავმირებულია.

სამაგიეროდ, არიან დეკო, რონალდინიო, პუიოლი, ეტოო... აკი, გამართლდა „შახტარის“ რუმინელი მწვრთნელის, მირჩა ლუჩესკუს მატჩამდელი სიტყვები, „ბარსელონა“ საბრძოლო შემადგენლობით ჩამოვა, მათ ხომ ჩვენთან მოგება და ჯგუფში პირველი ადგილის დაკავება სურთო.

„ჩემს ფეხბურთელებს მოტივაცია, რა თქმა უნდა, აქვთ. ისინი „ბარსელონას“ საკუთარი ქომაგის თვალწინ ეთამაშებიან. თუ „მილანი“ და „ბარსა“ პირველი ადგილისთვის ჭიდაობენ, ჩვენ „სელტიკს“ უეფას თასის საგზური უნდა წავართვათ. ესაა ჩვენი მიზანი და ამიტომაც მოსაგებად არაფერს დავიშურებთ“ — ამბობს ლუჩესკუ, რომელსაც დისკვალიფიკაციამოხდილი ანატოლი ტიმოშჩუკი უბრუნდება, სამაგიეროდ, არ ეყოლება მისი თანამემამულე თავდამსხმელი ჩიპრიან მარიკა — იგი ტრავმირებულია.

ლიდერი „მილანი“ კი გლაზგოშია და „სელტიკ პარკზე“ შეეცდება ლიდერობის შენარჩუნებას. კარლო ანჩელოტიმ, „როსონერის“ მწვრთნელმა, შოტლანდიაში არ იახლა ქართველი მცველი კახა კალაძე, საქართველოს ნაკრების კაპიტანი მცირე ტრავმის გამო დარჩა იტალიაში. „შავ-წითლებს“ ასევე ტრავმის გამო დანიელი ფორვარდი, იონ დალ ტომასონიც ვერ გაჰყვა, მას ზურგი აწუხებს.

სამაგიეროდ, აუცილებლად ითამაშებს წლევანდელი „ოქროს ბურთის“ თითქმის მფლობელი ანდრეი შევჩენკო. და თუ „მილანის“ სავარაუდო შემადგენლობას გადავხედავთ, ანჩელოტი ამჯერადაც ერთ ფორვარდს გაიყვანს მოედანზე და ის სწორედ შევჩენკო იქნება, რომელსაც სიღრმიდან პასებით რუი კოშტა და სერჟინიო მოამარაგებენ.

გატუზო, პირლო, ზეედორფი და კაკა — იტალიის ჩემპიონთა ძირითადი ნახევარმცველები არიან, რომელთა გვარებსაც სავარაუდოში ვერ ვკითხულობთ, ანჩელოტის ისინი სათადარიგოთა სკამზე (პლუს კრესპო) ეყოლება და თუ დასჭირდა, მერე ჩართავს საქმეში.

გიორგი ვაშაკიძე

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მილანი | 5 | 4 | 0 | 1 | 10:3 | 12 |
| ბარსელონა | 5 | 3 | 1 | 1 | 9:4 | 10 |
| სელტიკი | 5 | 1 | 1 | 3 | 4:10 | 4 |
| შახტარი | 5 | 1 | 0 | 4 | 3:9 | 3 |



„კამპ ნოუზე“ „ბარსელონა“ „შახტარს“ სამუელ ეტოოს გოლითაც გაუმასპინძლდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩემპიონთა ლიგა 2004-2005. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. დღეს

## G ჯგუფი

### ვალენსია — ვერდერი

САВАРАУДО შემადგენლობები

| ვალენსია | ვერდერი |
|---|---|
| კანისარესი, კურო ტორესი, მ. კანეირა, მარჩენა, კარბონი, ფიორე, ბარახა, ალბელდა, ხისკო (ვისენტე), აიმარი, დი ვაიო | რაინკე, პასანენი, ბაუმანი, ისმაელი, სტალტერი, დ. იენსენი, ერნსტი, ბოროვსკი, მიკუ, კლოზე, ხარისტიასი |

მსაჯი: ანდერს ფრისკი (შვედეთი)

### ინტერი — ანდერლეხტი

სავარაუდო შემადგენლობები

| ინტერი | ანდერლეხტი |
|---|---|
| ტოლდო, ხ. ძანეტი, კორდობა, მიხაილოვიჩი, ფავალი, ვან დერ მეიდე, ვერონი, კამბიასო, სტანკოვიჩი, რეკობა, ვიერი | ვან შტეენბერგი, ჟეველაკოვი, კომპანი, ლ. ტრაორე, დეშახტი, მ. მპენზა, ჰასი, ზეტერბერგი, ვილჰელმსონი, დინდანე, იაშჩუკი |

მსაჯი: მაიკ რაილი (ინგლისი)

## H ჯგუფი

### პსჟ — ცსკა

სავარაუდო შემადგენლობები

| პსჟ | ცსკა |
|---|---|
| ლეტიზი, მენდი, იეპესი, პიერ-ფანფანი, არმანი, ე. სისე, მბანი, ჩანა, რეინალდო, პაულეტა, ლიუბოია | აკინფეევი, შემბერასი, იგნაშევიჩი, ა. ბერეზუცკი, ალდონინი, რ. გუსევი, ო. ფერეირა, ჟირკოვი, იაროშიკი, რახიმიჩი, ვაგნერი |

მსაჯი: მარკუს მერკი (გერმანია)

### პორტუ — ჩელსი

სავარაუდო შემადგენლობები

| პორტუ | ჩელსი |
|---|---|
| ნუნუ, სეიტარიდისი, ჟორჟე კოშტა, რიკარდუ კოშტა, პ. ემანუელი, ბოსინგვა, მანიშე, კოშტინია, დიეგო, ლუის ფაბიანო (კვარესმა), მაკკარტი | კუდიჩინი, ჯონსონი, რ. კარვალიუ, ტერი, ბრიჯი, სმერტინი, პარკერი, ლამპარდი, ჯ. კოული, რობენი, გუდიონსენი |

მსაჯი: მასიმო ბუსაკა (შვეიცარია)



ბრემენულ მატჩში „ვერდერმა" ანგელოს ხარისტიასის ამ გოლით იმარჯვა

# მოდით, ვიანგარიშოთ

## ვერდერი და ვალენსია ქულებს და ბურთებს ითვლიან

თავდაპირველად შანსებზე ვთქვათ: მილანის „ინტერი" უკვე გასულია მერვედფინალში, ხოლო პირველ ადგილს დაიკავებს ჯგუფში თუ მეორეს, პრინციპული მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს.

„ანდერლეხტისთვის" მით უფრო აღარ აქვს მნიშვნელობა ბოლო ტურს, ბელგიელები ბოლო ადგილს მაინც ვერ ასცდებიან.

ძალიან მარტივი გამოსათვლელია ისიც, რომ „ვერდერს" ვალენსიაში არათუ მოგება, ფრეც აძლევს ხელს. შესაბამისად, „ვალენსიასთვის" მხოლოდ გამარჯვებაა სასურველი შედეგი, ოღონდ აქაც ანგარიშზე იქნება ბევრი რამ დამოკიდებული.

თუ „ვალენსიამ" მოიგო, „ვერდერს" ქულებით დაეწევა და მათ შორის უმჯობესის გამოსავლენად ურთიერთშეხვედრების შედეგებს დაიანგარიშებენ. ბრემენში მასპინძლებმა 2:1 მოიგეს, რაც ნიშნავს, რომ „ვალენსიას" შინ 1:0 ან ორი და მეტი ბურთით მოგება ჭირდება. „ვერდერს" შეუძლია თავს 2:3, 3:4, 4:5 ანგარიშით წაგების უფლება მისცეს. ხოლო თუ მატჩი ესპანელებმა 2:1 მოიგეს, ბურთების საერთო რაოდენობის უკეთესი შეფარდებით, მეორე ადგილი გერმანელებს დარჩებათ.

არც „ვალენსიას" და არც „ვერდერს" დისკვალიფიცირებული არავინ ჰყავს, დაშავებულები კი არიან. ესპანელებს რობერტო აიალა და ფრანსისკო რუფეტე არ ეყოლებათ, გერმანელებს კი გუსტავო ნერი. კიდევ რამდენიმე ფეხბურთელია, რომელთა თამაშიც საეჭვოა, მაგრამ გამორიცხული არ არის, ესენი არიან: „ვალენსიადან" მომო სისოკო, მიგელ ანხელ ანგელი, დავიდ ალბელდა და ვისენტე, „ვერდერიდან" კი ივან კლასნიჩი.

როგორც თავში მოგახსენეთ და ცხრილიდანაც ნათლად ჩანს, „ვერდერი" აშკარად უკეთეს მდგომარეობაშია, თანაც პრიმერადივიზიონში ვალენსიელთა ბოლო თამაშიდან გამომდინარე, გერმანელთა შანსი ერთიორად დიდია — „ვალენსიამ" „ლევანტეს" დიდი გაჭირვებით მოუგო. თუმც ესპანელთა მწვრთნელი კლაუდიო რანიერი ამბობს: „ლევანტესთან" მატჩმა კიდევ ერთხელ დაგვანახა, რომ ბევრი პრობლემა გვაქვს. მეორე მხრივ, იმ მატჩის მოგება „ვერდერთან" შეხვედრის წინ თავდაჯერებულობას გვმატებს".

გერმანელთა მწვრთნელმა თომას შააფმა კი თქვა: „შეიძლება ხალხი ფიქრობს, რომ ჩვენ ფრის მისაღწევად ვითამაშებთ. მაგრამ ნუ დაივიწყებთ, რომ „ვერდერს" უზარმაზარი შემტევი პოტენციალი აქვს და არ მესმის, რატომ არ უნდა გამოვიყენოთ. ერთი სიტყვით, ჩვენ მოგებას ვეცდებით".

ბოლოს კი მოკლედ „ინტერ" — „ანდერლეხტის" უმიზნო თამაშზეც ვთქვათ.

„ინტერს" ადრიანო ჰყავს დისკვალიფიცირებული, კილი გონსალესი, ალბერტო ფონტანა და კარლოს გამარა კი ტრავმებს იშუშებენ.

„ანდერლეხტის" დაშავებულთა სია კი უფრო ვრცელია: დანიელ ზიტკა, ტრისტან პეერსმანი, გლენ დე ბუკი, ჰანუ ტიჰინენი, მარტინ კოლარი და ნენად იესტროვიჩი.

**ირაკლი ნინიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინტერი | 5 | 3 | 2 | 0 | 11:3 | 11 |
| ვერდერი | 5 | 3 | 1 | 1 | 10:6 | 10 |
| ვალენსია | 5 | 2 | 1 | 2 | 6:8 | 7 |
| ანდერლეხტი | 5 | 0 | 0 | 5 | 4:14 | 0 |

# ჟოზე მაურინიუ წარსულს დაემალა

| 12352 პანათინაიკოსი-პსვ | 1.7 | 1.9 |
| 12353 ინტერი-ანდერლეხტი | 2.2 | 1.6 |
| 12354 არსენალი-რუსენბორგი | 2.0 | 1.6 |
| 12355 სელტიკი-მილანი | 1.6 | 2.0 |
| 12356 ფენერბაჰჩე-მანჩესტერი | 1.9 | 1.7 |
| 12357 დეპორტივო-მონაკო | 1.7 | 1.9 |
| 12358 ლივერპული-ოლიმპიაკოსი | 1.7 | 1.9 |
| 12359 ლევერკუზენი-დინამო | 1.8 | 1.8 |
| 12360 რომა-რეალი | 2.0 | 1.6 |
| 12361 აიაქსი-ბაიერნი | 1.8 | 1.8 |
| 12362 მაკაბი-იუვენტუსი | 1.6 | 2.0 |
| 12363 ლიონი-სპარტა | 1.9 | 1.7 |

# ბიჭს აქვს ნიჭი
## სანიკიძე სტაბილურობას სწავლობს



**გასული** კვირა ქართველი ლეგიონერებისთვის უფრო უიღბლო იყო, ვიდრე წარმატებული, თუმც მთლად ისეც ხომ არ იქნებოდა, სადმე ჩვენიანს არ გამოენათებინა.

ამჯერად ის კალათბურთელი კი არ გვინდა გამოვარჩიოთ, რომელმაც ბევრი ქულა და მოხსნა-პასები მოიხვეჭა, არამედ ის, რომელიც სტაბილურად, თავდახრით თამაშობს და მიუხედავად იმისა, რომ ათქულიან თამასას იშვიათად სცდება, მისი გარჯა მაინც გამოსარჩევია.

ვიქტორ სანიკიძეზე მოგახსენებთ, 18 წლის დაუღვინებელ ახალგაზრდაზე, რომელმაც ევროპული დონის გუნდში თამაშის უფლება საკუთარი ნიჭითა და, რაც მთავარია, მონდომებით დაიმსახურა. „ვიკა“ შარშან წავიდა საფრანგეთში და „დიჟონის“ ხელმძღვანელობას მალევე დაუმტკიცა, რომ დიდი გაქანების მოთამაშეა. სანიკიძე ამ სეზონიდან მთლიანად ძირითად გუნდშია დაკავებული და მართალია, ხუთეულში ჯერ ვერ მოუკიდებია ფეხი, მაგრამ თავის სათქმელს ყოველ მატჩში ამბობს.

სანიკიძე არ ჰგავს იმ ქართველ მოთამაშეებს, რომლებიც ბრწყინვალედ ჩატარებულ მატჩებს აუცილებლად მოაყოლებენ ხოლმე უქულო და ულაზათო თამაშს. მისი მთავარი უპირატესობა სტაბილურობაა, რომ არაფერი ვთქვათ კარგ ფიზიკურ და გონებრივ მონაცემებზე. ვიქტორი ამ სეზონში „დიჟონის“ ყველა მატჩში გავიდა მოედანზე და თვალისმომჭრელი ციფრები არასდროს ჰქონია. თუმც ფიცარნაგზე უმეტესად ისე მცირე დროს ატარებდა, ამას ელემენტარულად ვერც მოასწრებდა. სამაგიეროდ, რაც თამაშში იყო, უხეიროდ არასდროს გარჯილა და მოედნიდან სისტემატიურად გამოჰქონდა 5-6-8 ქულა.

„დიჟონმა“ გასულ კვირაში ორი მატჩი ჩაატარა, ერთი მოიგო, მეორე ვერა, სანიკიძე კი ისევ ისეთი სტაბილური იყო. საფრანგეთის ჩემპიონატში „შოლესთან“ წაგებულ მატჩში სანიკიძემ 18 წუთში 9 ქულა მოიმკა, ხოლო ფიბა-ევროლიგაში რუსულ „ურალ გრეიტს“ 6-6 ქულა-მოხსნა აძგერა.

სწორედ ამ სტაბილურობის გამოა სანიკიძე გამოსარჩევი, თორემ აგერ, „უნიკსში“ ფრთებგაშლილმა ბორჯღალპასპორტიანმა შემონდ უილიამსმა 17 ქულა ჩაუგდო ნოვოსიბირსკის „ლოკომოტივს“, რაც მისი გაქანების მოთამაშისთვის ჩისბურგერის ჭამასავით იოლია.

სხვა? ბევრიც არაფერი, თითქმის ყველა ლეგიონერის გუნდმა წააგო. განსაკუთრებით საწყენია ევროლიგის ჯგუფიდან გასასვლელად მებრძოლ „ოლიმპიას“ ბეჩავ „ვილერბანთან“ სტუმრად დამარცხება. ეს მატჩი დიდხანს ემახსოვრებათ ლიუბლიანელებს, როგორც ყველაზე დანავსული, რაკი 54 ქულაზე მეტის მოპოვება ვერ შეძლეს.

ევროლიგაში მარცხს „ოლიმპიამ“ „ადრიატიკულზე“ წაფორხილებაც მოაყოლა. ვლადიმერ ბოისასა და მანუჩარ მარკოიშვილის გუნდმა სერბეთში „რეფლექსთან“ წააგო და ჩვენიანთა მონაგარიც მეტად შეუხედავია. იმედისმომცემი ამ მატჩში მხოლოდ ის იყო, რომ მარკოიშვილმა ოც წუთზე მეტი ითამაშა, რაც „ოლიმპაში“ მისი გაშინაურების მანიშნებელია.

მოიგო დავით უგრეხელიძის „პივოვარნამ“, თუმც ალბათ ის აჯობებდა, წაეგო და ქართველ ცენტრს მეტი ხეირი ენახა. უგრეხელიძე 11 წუთით გავიდა მოედანზე და 3 მოხსნის გარდა ღირებული ვერაფერი გააკეთა.

ევროპელებში გარეულ აზერბაიჯანულ „გალაზეც“ ვთქვათ, რომელმაც შინ ლიტვურ „შაულიაისთან“ წააგო ფიბა-ევროპის თასზე და ჯგუფიდან გასვლა სათუო გაიხადა. ბაქოელებს ოდენ ორი მოხსნითა და კინკილა პასით შეეწია ჩვენიანი ზვიად ბაბიაშვილი, რომელიც 12 წუთით ათამაშეს. „გალა“ რომ ჯგუფიდან გავიდეს, კონკურენტმა „ნიკოლაევმა“ შაულიაიში უნდა მოიგოს, რაც, თუ ბაქოელთა მწვრთნელ რიმას კურტინაიტისის ლიტველობას გავითვალისწინებთ, ძნელი წარმოსადგენია. სავარაუდოა, რომ ჯგუფის ლიდერი „შაულიაი“ „ნიკოლაევს“ ლიტვაში მოუგებს და ავტორიტეტიან თანამემამულე მწვრთნელს ბაქოში საქმეს არ გაუფუჭებს.

ოკეანგაღმიდან კი ახალი არაფერი ისმის. ვლადიმერ სტეფანია მუხლის ტრავმას მკურნალობს, ნიკა ცქიტიშვილს კი სამაღლოდ, წაგებული მატჩებში ათამაშებენ დენვერელები. ყველაზე საქმიანად ისევ ზაზა ფაჩულიაა, რომელსაც ტერფის ტრავმის გამო გაცდენილი ნახევარი თვე ჯერაც ტვირთად აწევს და იმ ტემპს, სეზონის დასაწყისში რომ აკრიფა, ვერ იღებს. თუმც ბოლო მატჩში ზაზამ საკმაოდ დამაჯერებლად ითამაშა თვით ტიმდანკანიან „სან ანტონიოსთან“. 17 წუთში მან 7 ქულა ჩაუგდო ლიგის ერთ-ერთ საუკეთესო გუნდს.

**ირაკლი პერტაია**

| სახელი გვარი | გუნდი | ტურნირი | მეტოქე | სად | ანგარიში | წთ | ქ | მ | პ | ჩ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ვლადიმერ ბოისა | ოლიმპია | ადრიატიკის ლიგა<br>ევროლიგა | რეფლექსი<br>ვილერბანი | ს<br>ს | 79:85<br>54:61 | 32<br>35 | 6<br>9 | 4<br>11 | 2<br>1 | 0<br>1 |
| მანუჩარ მარკოიშვილი | ოლიმპია | ადრიატიკის ლიგა<br>ევროლიგა | რეფლექსი<br>ვილერბანი | ს<br>ს | 79:85<br>54:61 | 21<br>14 | 3<br>3 | 1<br>1 | 1<br>0 | 2<br>0 |
| დავით უგრეხელიძე | პივოვარნა | ადრიატიკის ლიგა | ბუდუჩნოსტი | შ | 80:68 | 11 | 0 | 3 | 0 | 0 |
| შემონდ უილიამსი | უნიკსი | სუპერლიგა (რუს.)<br>ფიბა-ევროლიგა | ლოკომოტივი<br>ბკ კიევი | ს<br>შ | 103:96<br>66:88 | 33<br>31 | 17<br>13 | 3<br>3 | 5<br>8 | 3<br>2 |
| ვიქტორ სანიკიძე | დიჟონი | PRO A საფრანგეთი<br>ფიბა-ევროლიგა | შოლე<br>ურან გრეიტი | შ<br>შ | 70:74<br>99:68 | 18<br>16 | 9<br>6 | 4<br>6 | 0<br>2 | 1<br>0 |
| გიორგი მდივანი | ეპინალი | PRO B საფრანგეთი | ბრესტი | შ | 70:101 | 11 | 5 | 1 | 1 | 0 |
| ზვიად ბაბიაშვილი | გალა | ფიბა-ევროპის თასი | შაულიაი | შ | 82:95 | 12 | 0 | 2 | 1 | 0 |
| ზაზა ფაჩულია | მილუოკი | ნბა. რეგულარული ჩემპ. | სან ანტონიო<br>ლეიკერსი | შ<br>შ | 83:104<br>90:95 | 17<br>13 | 7<br>0 | 0<br>3 | 1<br>0 | 0<br>0 |
| ნიკა ცქიტიშვილი | დენვერი | ნბა. რეგულარული ჩემპ. | კლივლენდი<br>მაიამი | შ<br>შ | 73:92<br>104:95 | 12<br>არ უთამაშია | 2 | 2 | 0 | 0 |

შენიშვნა: წთ — წუთი; ქ — ქულა; მ — მოხსნა; პ — პასი; ჩ — ჩაჭრა; ს — სტუმრად; შ — შინ



# აკრძალული ხილი ტკბილია
## სორდიას ირანელი მწვრთნელი გურჯების სასმელს მიეტანა

*კვირას „დინამო“ — სსუ-ს მატჩამდე სოხუმელთა ბანაკში დიდი მოკითხვა და სალამ-ქალამი იყო. ვაჟა კვარაცხელიას გუნდი ძველ თანამებრძოლებს შემოხვეოდა — ირაკლი სორდია და ვანო აბულაძე ირანიდან შვებულების გასატარებლად თბილისში ჩამოვიდნენ, თანაც მწვრთნელთან ერთად. „აზერ ფეამის“ თავკაცმა სორდია და აბულაძე ყოჩაღი თამაშისთვის იმით დაასაჩუქრა, რომ ირანიდან თბილისში უსასყიდლოდ წამოიყვანა და სამ-ოთხ დღეში სპარსეთშიც მუქთად გაიყოლებს. მანამდე კი მუსტაფა მურადი ქართულ სუფრას უტრიალებს და გურჯულ კურძებს აგემოვნებს, მცხეთას ათვალიერებს და როცა კალათბურთია, ვერის ბაღშიც დადის. ჩვენ კი მის მასპინძელ ირაკლი სორდიას ვესაუბრებით...*

— ჩვენს ჯგუფში პირველი წრე დასრულდა და სამკვირიანი შესვენება გვაქვს. გადავწყვიტეთ, შვებულება თბილისში გაგვეტარებინა და ჩვენი გუნდის, „აზერ ფეამის“ მწვრთნელმაც მოინდომა საქართველოში წამოსვლა.

**— „აზერ ფეამი“ ძლიერი გუნდია?**

— ჩვენ ირანის სუპერლიგაში არ ვთამაშობთ, ხოლო სადაც ვართ, ჯერჯერობით ყველას ვჯობნით. უმაღლესის ქვედა ლიგა ორ რვაგუნდიან ჯგუფადაა გაყოფილი და ჩვენ ერთ-ერთში პირველ ადგილზე ვართ. ახლა პლეი ოფი იწყება, სუპერლიგაში გადასასვლელად გადამწყვეტი ბრძოლა.

**— „აზერ ფეამიც“, ცხადია, სუპერლიგას უმიზნებს...**

— რა თქმა უნდა. ჯგუფის ლიდერები ვართ და სუპერლიგაში ანაცვლების მთავარ კანდიდატადაც ვითვლებით. ბოლო ტურში უშუალო კონკურენტი დავამარცხეთ, რომელსაც ერთი რუსი და ერთიც უკრაინელი ლეგიონერი ჰყავს. სხვათა შორის, ჩვენმა მწვრთნელმა ამ მატჩის მოგების შემდეგ გადაწყვიტა საქართველოში ჩვენთან ერთად წამოსვლა.

**— რატომ მაინცდამაინც ამ თამაშის შემდეგ?**

— რა ვიცი, შეიძლება ისედაც წამოსულიყო, მაგრამ გზის ფულს ალბათ არ გადაგვიხდიდა. ახლა კი მთლიანად გუნდის ხარჯებით ჩამოვედით, გზაში კაპიკი არ გვეხარჯება. მე და ვანო აბულაძეს მწვრთნელმა მატჩამდე გვითხრა, თუ ამ თამაშსაც მოგვაგებინებთ, საქართველოში მეც წამოვალ და გზაში კაპიკს არ დაგახარჯვინებთო.

**— სამაგიეროდ, არც თქვენ დარჩებით ვალში — ქართულ მასპინძლობას ვგულისხმობ...**

— ეგ თავისთავად. ბატონმა მურადმა სასტუმროში ვიცხოვრებო, მაგრამ ჩვენ არ დავანებეთ და ჯერ ჩემთანაა, ხვალ-ზეგ კი ალბათ ვანოს ოჯახსაც ესტუმრება.

**— მისი მთავარი მისია რა არის, ვინმეს წაყვანა ხომ არ უნდა?**

— ჩვენს გუნდს მართლაც სურს თავდამსხმელის დამატება და „აზერ ფეამის“ მწვრთნელიც ალბათ შეათვალიერებს ვინმეს. კვირას ის საქართველოს ჩემპიონატის მატჩებს დაესწრო, მაგრამ როგორც თქვა, სერიოზულად არავინ დააინტერესა. თუმც მისი აქ ჩამოსვლის მთავარი მიზანი ჩვენი ქვეყნის გაცნობაა. ბატონ მურადს ძალიან აინტერესებს ქართული კულტურა.

**— სუფრის კულტურა თუ აინტერესებს?**

— სხვათა შორის, ძალიან დაინტერესებულია ქართული სუფრით. ყველაფერი მოეწონა და ღვინოც კი დალია. ასე თქვა, არასდროს დავმთავრალვარო და ეს პირველად თბილისში „მოახერხა“. არადა, ექვს ჭიქაზე მეტი არც დაულევია. ირანში რელიგია ალკოჰოლს კრძალავს და ბევრს ვერავინ სვამს.

**— უკან როდის ბრუნდებით?**

— ოთხ-ხუთ დღეში. სტუმარი უკვე გვყავდა მცხეთაში, სხვა ღირშესანიშნაობებსაც დავათვალიერებინებთ და...

**ირაკლი პერტაია**

ეროვნული ბიბლიოთეკა



NBA რეგულარული ჩემპიონატი

# ამოუცნობი ფინ X

## სამქულიანი, კიდევ სამქულიანი: კი გამოვიდა ასოცქულიანი

— 5 ნოემბერი —

**საკრამენტო 119:105 ბოსტონი**

საკრამენტო: სტოიაკოვიჩი (27), მილერი (22 ქულა, 10 მოხსნა), ვებერი (18 ქულა, 10 მოხსნა), ბიბი (15 ქულა, 10 პასი)

ბოსტონი: ბლუნტი (18), პირსი (16), ლაფრენცი (15)

**პორტლენდი 99:121 ფინიქსი**

პორტლენდი: რენდოლფი (24 ქულა, 11 მოხსნა), აბდურ-რაჰიმი (15 ქულა, 11 მოხსნა), პატერსონი (15)

*სტეფანია განაცხადში არ იყო*

ფინიქსი: რიჩარდსონი (37), სტუდემაიერი (19), მარიონი (16 ქულა, 12 მოხსნა), ჯონსონი (15)

ამ ზაფხულს, როგორც იქნა, აღმოსავლელმა „დეტროიტმა“ ნავსი გატეხა და დასავლეთს ჩემპიონობა გამოსტაცა, მაგრამ ამერიკის დედაწყლის, მისისიპის იქითა ნბა მაინც მეტ ნოყიერ საკალათბურთო მიწებს მოიცავს და ძლიერი და თვალსასეირო გუნდებიც იქით მეტნი ბინადრობენ, ალბათ უფრო მეტი, ვიდრე წინა წლებში. აგერ „სიეტლელმა“ და „ფინიქსმაც“ წამოყვეს თავი. ხორცი ძვლებსაც არ აკლიათ და ფერითაც ხომ ლაპლაპებენ.

ამ გაზაფხულს უპლეიოფოდ დარჩენილი „ფინიქსი“ წლეულს შემოდგომიდანვე ბარაქიან მოსავალს იღებს და თუ ატყობთ, უკან დახევასაც არ აპირებს. ბოლო სამ კვირაში არიზონელებმა ერთმანეთზე ცხრა გამარჯვება მიაწყვეს და პარასკევს „მინესოტასთანღა“ წაიფორხილეს. შემთხვევით მოგვივიდაო, თქვეს და კვირას შავი დღე დააწიეს „პორტლენდს“.

ფინიქსელი სტივ ნეში დღეს მთელ ლიგაში ყველაზე თვალბასრი გამთამაშებელია — ახლა 10 ქულას 10 პასიც მიაბა; შონ მარიონს „დრიმ თიმშიც“ უთამაშია; ამარე სტუდემაიერს ცუდ ბიჭად და გადასარევ მოთამაშედ იცნობენ. ახლა კი ამ დოვლათიან გუნდს კიდევ ერთი ვარსკვლავი აღმოაჩნდა — კვენტინ რიჩარდსონმა „პორტლენდს“ 37 ქულა უთავაზა და ამის მერე მოდით და გაიკვირვეთ, ეს გუნდი ყოველ მეორე საღამოს როგორ აგროვებს 120 და 125 ქულებს.

რიჩარდსონმა რვა სამქულიანი ჩააგდო, აქედან ოთხი მიჯრით. თავისთავად არც სხვები უყურებდნენ ხელებში და ამ სეტყვას „პორტლენდმა“ მხოლოდ პირველ მეოთხედში გაუძლო — საწყისი 12-წუთეული ქულითაც მოიგო, მერე კი ტაიმის 50:62 წაგების შემდეგ შანსი აღარც მისცემია.

„ჩვენ შეგვიძლია მარცხის დავიწყება, გადაჯგუფება და კარგი გუნდის, აი, ასე იოლად დამარცხება, თანაც სტუმრად — თავმომწონეობს ფინიქსელთა ფორვარდი შონ მარიონი — მგონი, ეს ბევრზე მეტყველებს.“

„პორტლენდის“ თავკაცი მორის ჩიქსი კი დაღონებული თუ არა, ჩაფიქრებული მაინც იყო. რომ ჰკითხეს, სულ გინდოდათ გუნდის გადახალისება და რამე გრანდიოზულ გაცვლას ხომ არ გეგმავთო, მიუგო — შეიძლება არ ვგეგმავ, მაგრამ ამაზე სულ ვფიქრობ, ჩემს გუნდს რომ ვუყურებო.

სამქულიანების წვიმა წამოვიდა კვირას გამართულ მეორე თამაშშიც. „საკრამენტო კინგზმა“ აღმოსავლელი „ბოსტონ სელტიქსი“ გამოიჭირა და კალათბურთთან ერთად კატათაგვობანაც ეთამაშა. ბოსტონელებმა პირველი მეოთხედი 36:18 მოუგეს მასპინძლებს და იმაზე ფიქრი რომ დაიწყეს, ეგ არის და ავშენდითო, მაშინ გამართა თავისი ქვემეხი პრედრაგ სტოიაკოვიჩმა. სერბმა სნაიპერმა ბოსტონელებს 9 სროლიდან 6 სამქულიანი მოუთავსა კალათში, მისმა „საკრამენტომაც“ მეორე მეოთხედში სხვაობა ექვს ქულამდე შეამცირა, მესამეში წინაც გაიჭრა და უკან აღარც მოუხედავს.

„კინგზისთვის“ ეს გამარჯვება ზედიზედ მეოთხეა, მეცხრე ბოლო ათ შეხვედრაში და საკრამენტოში აღარც არავის სურს ამ სეზონის ულიმღამო დებიუტის გახსენება. სტოიაკოვიჩმაც თავიდან დროებით მაინც ამოიგდო სხვა გუნდში გადასვლაზე ფიქრი.

**კოტე ყორშია**




კვენტინ რიჩარდსონი, ფინიქსელი „მზეების“ ახალი მნათობი

| აღმოსავლეთი | | | | დასავლეთი | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ატლანტიკა | | | | სამხრეთ-დასავლეთი | | | |
| ნიუ იორკი | 8 | 8 | 50,0 | სან ანტონიო | 15 | 3 | 83,3 |
| ბოსტონი | 7 | 9 | 43,8 | დალასი | 12 | 6 | 66,7 |
| ფილადელფია | 6 | 10 | 37,5 | ჰიუსტონი | 7 | 11 | 38,9 |
| ტორონტო | 7 | 12 | 36,8 | მემფისი | 6 | 12 | 33,3 |
| ნიუ ჯერსი | 4 | 12 | 25,0 | ნიუ ორლეანი | 1 | 14 | 6,7 |
| ცენტრალური | | | | ჩრდილო-დასავლეთი | | | |
| კლივლენდი | 11 | 6 | 64,7 | სიეტლი | 15 | 3 | 83,3 |
| ინდიანა | 10 | 7 | 58,8 | მინესოტა | 11 | 5 | 68,8 |
| დეტროიტი | 8 | 8 | 50,0 | დენვერი | 9 | 7 | 56,3 |
| მილუოკი | 4 | 10 | 28,6 | პორტლენდი | 8 | 8 | 50,0 |
| ჩიკაგო | 2 | 12 | 14,3 | იუტა | 8 | 9 | 47,1 |
| სამხრეთ-აღმოსავლეთი | | | | წყნარი ოკეანე | | | |
| ორლანდო | 11 | 5 | 68,8 | ფინიქსი | 14 | 3 | 82,4 |
| ვაშინგტონი | 10 | 5 | 66,7 | საკრამენტო | 12 | 5 | 70,6 |
| მაიამი | 11 | 7 | 61,1 | ლეიკერსი | 10 | 7 | 58,8 |
| შარლოტი | 4 | 10 | 28,6 | კლიპერსი | 10 | 7 | 58,8 |
| ატლანტა | 2 | 14 | 12,5 | გოლდენ სტეიტი | 4 | 12 | 25,0 |



# უქმად ჯდომას, ლარიონოვი გავაცილოთ

**ბოლო ხანებში** ჰოკეის ეროვნული ლიგისა და მოთამაშეთა ასოციაციის ურთიერთობაში სასიკეთო ძვრები კი შეინიშნება, მაგრამ დეკემბერში ნჰლ-ის თამაში მოსალოდნელი მაინც არ არის. ამიტომ ცნობილი სპორტული სამენეჯმენტო ფირმა IMG საინტერესო ღონისძიების მოწყობას აპირებს. 25 ნჰლ-ელი ვარსკვლავი, მათ შორის, მარტინ ბროდო და დომინიკ ჰაშეკი 9-23 დეკემბერს ევროპის 7 ქვეყანაში 10 თამაშს ჩაატარებს. მსოფლიო ვარსკვლავების გუნდი ევროპულ ქვეყნებში მოთამაშე კოლეგებს შეხვდება. პირველი მატჩი რიგაში გაიმართება, შემდეგ კი რიგში არიან მოსკოვი, სანკტ პეტერბურგი, ბრატისლავა, ბერნი, კარლსტადი, იონჩოპინგი, ლინჩეპინგი, ■სლო და კატოვიცე. უკვე ცნობილია, რომ ზემოთ ხსენებულთა გარდა, მსოფლიოს ნაკრებში ითამაშებენ ანაჰაიმელი სერგეი ფიოდოროვი, ბოსტონელი ჯო ტორნტონი, აგრეთვე ტორონტოელები — მატს სუნდინი და ტაი დომი.

მოსკოვური მატჩი სახელოვანი რუსი ჰოკეისტის იგორ ლარიონოვის გამოსამშვიდობებელ ბენეფისად იქცევა. დიდ ჰოკეიში გატარებული 27 წლის შემდეგ ოლიმპიური ოქროს ორგზის და სტენლის თასის სამგზის მფლობელი, აი, ამგვარ ბრწყინვალე გარემოცვაში გამოეთხოვება ჰოკეის. მით უმეტეს, რომ ამ მატჩში მონაწილეობის მისაღებად ლარიონოვის ბევრი ვარსკვლავი პარტნიორი ჩავა რუსეთის დედაქალაქში, მათ შორის სტივ აიზერმანი, ბრენდან შენაჰანი და კრის ჩელიოსი...

საინტერესოა, რომ ათი წლის წინ, ასევე ლოკაუტის დროს, ანალოგიური ტურნე IMG-მ და უეინ გრეცკიმ მოაწყვეს.



# ქალი კარში

## დაურტყით, რამდენიც გინდათ

ღმერთი სამობითაო და მამაკაცთა ჰოკეიში უკვე მესამე ქალმა სცადა ბედი. პირველი მერცხალი კანადელი მანონ რიომი გახლდათ, რომელმაც 1992 წელს „ტამპას“ რიგებში რამდენიმე საგამოფენო მატჩი ჩაატარა. შარშან თავის თანამემამულეს ჰაილი ვიკენჰაიზერმა მიბაძა. კანადის ქალთა ნაკრების ლიდერმა ფინეთის მეორე ლიგის გუნდში ითამაშა და წარმოიდგინეთ, გოლიც კი გაიტანა.

ქალბატონი რაომი მეკარე გახლდათ და კაცებში გარეული მესამე ქალბატონიც გოლკიპერია — ბარბარა ცემანი, 33 წლის. აქამდე იგი ავსტრიის ქალთა გუნდ „სეიბრსის“ კარში იდგა, ახლა კი ქვეყნის მესამე დივიზიონის კლუბ „ფოიერვერის“ კარში დადარაჯდა, მაგრამ ვაგლახ, დებიუტი უიღბლო გამოდგა — მისი გუნდი 4:23 განადგურდა. თავად ბარბარამ 10 გოლი გაუშვა, მაგრამ მაინც კმაყოფილია: „ვამაყობ ჩემი თავით და ფრიად მოხარული ვარ, რომ ამდენი მამაკაცის გარემოცვაში ყველამ მე მომაქცა ყურადღება“ — თქვა ცემანმა ნამატჩევს.

„დრო შეიცვალა და ახლა ქალებს, მათ შორის ბარბარას აქვთ იმის უნარი, რომ მამაკაცთა გუნდში ითამაშონ“ — ასეთია ავსტრიის ჰოკეის ასოციაციის პრესმდივნის, ქალბატონ ბეტინა გრესელის კომენტარი.

# მაკი და როკი

**„დეტროიტის“** ფორვარდმა დარენ მაკარტიმ როგორც იქნა, მოიცალა მუსიკისთვის. ნჰლ-ში ლოკაუტია და რა ენაღვლება, შეუერთდა თავის როკჯგუფ „გრინდერის“ და ახლა დიდ ტურნეს მართავს კანადასა და აშშ-ში.

„ყველაფერი საუცხოოდ მიდის. ჩემს ჯგუფთან ერთად ბრწყინვალე კონცერტებს ვმართავ, თან ვიდეოკლიპიც ჩავწერეთ. სამწუხაროდ, აქამდე დრო არ მქონდა, ახლა კი მოლხენისა და მუშაობის კარგი შანსი მომეცა. გასულ კვირას ლოს ანჯელესშიც კი ვიყავით“ — თქვა ჰოკეისტმა „მაინინგ ჯორნალისთვის“ მიცემულ ინტერვიუში.

დარენი და მისი „გრინდერი“ უბრალო ჯგუფი არ გეგონოთ. მათი ტურნეს შესახებ ინფორმაცია რამდენიმე ცნობილი ბენდის ოფიციალურ საიტზეც კი ამოვიკითხეთ.





REUTERS სპეციალურად

# კარლოს მოია: ამ გამარჯვებაზე მრავალი ღამე მიოცნებია

**კარლოს მოიამ ლომის წვლილი დაიდო ესპანელთა მიერ დევისფინალში ამერიკელი მეჩოგნეების ძლევაში. ამ გამარჯვებას მისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა, რაკილა 2000 წლის ტურნირი, ესპანეთმა დევისობაზე პირველად რომ იმარჯვა, მას ტრავმიანობის გამო გაუცდა. წლეულს კი მოიამ მთელი სეზონი რიგიანად იდევისთასა და გადამწყვეტ შეხლაშიც ორივე საერთეულო მატჩი მოიგო. გუშინ მას მცირე ინტერვიუ ჩამოართვა ესპანურმა „ასმა“, რომლის მოქართულებულ ვარიანტს გთავაზობთ კიდეც**

— როგორ გრძნობთ თავს ამ მოგების შემდეგ?

— ჩემი გრძნობების ალსაწერად ახლა სიტყვებიც არ მყოფნის. 2000 წლიდან მოყოლებული ამ გამარჯვებაზე მრავალი ღამე მიოცნებია, რადგანაც ნაკლად მქონდა, რომ მაშინ გუნდის დახმარება ვერ შევძელი. ბოლო ორი თვე ფინალისთვის გამორჩევით ვემზადე და ვფიქრობ, რომ მოგების სიხარულმა საამმოგებოდ გაწეული ყველანაირი შრომის სიმძიმე დამავიწყა.

— ორივე მატჩი ძალიან იოლად მოიგეთ, ეს კი უწინარესად მენტალურ მზაობას მოითხოვდა.

— ვიცოდი, რომ, როცა გადამწყვეტი მომენტი დადგებოდა, არ უნდა ჩამეფლავა. ეგეც არ იყოს, თუკი როდიკის წინაალმდეგ ვერ მოვიგებდი, თავს საბოლოო გამარჯვების ღირსადაც არ ჩავთვლიდი. ამ თვალსაზრისით კარგი სამსახური გამიწია რაფა ნადალმა, რომელმაც პარასკევს როდიკს ფიზიკურადაც აჯობა და ფსიქიკურადაც.

— ენდი როდიკს აქამდე სამჯერ შეხვედროდით და სამჯერვე მას ემარჯვა...

— როდიკი მართლაც დიდი ჩემპიონია და მას ვერაინაირად დააკნინებს ის გარემოება, რომ ფინალში ორივე მატჩი დათმო. კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ მის წინაალმდეგ წარმატებით სათამაშოდ ძალიან დამეხმარა ნადალისა და მისი მატჩის ყურება. მივხვდი, რომ კორტზე შეუსვენებლივ უნდა მემოძრავა და წამითაც არ უნდა მოვდუნებულიყავი. ამან გაამართლა კიდეც.

— რა გავლენა იქონია ფინალზე პუბლიკამ?

— ამხელა ლიანგის შემხედვარე თავიდან მეც ძალიან ვნერვიულობდი, მაგრამ პირველი ქულა მოვიპოვე თუ არა, მყისვე დავმშვიდდი. პუბლიკა მართლაც ფანტასტიკური იყო. დარწმუნებული ვარ, მართლაც არ არის სასიამოვნო შენს საწინაალმდეგოდ განწყობილი 27 ათასი ადამიანის წინაშე თამაში. ასე რომ, დიახ, ქომაგებს მართლაც დიდი წვლილი მიუძღვით ამ გამარჯვებაში.

— როგორ წარმოგიდგენიათ თქვენი სპორტული კარიერა ამ წარმატების შემდეგ?

— ამბიცია, ყოველ ჯერზე საუკეთესო ვყოფილიყავი, ნიადაგ დაუღალავად შრომასა და ბოლომდე ბრძოლას მაიძულებდა. ამ მხრივ ალბათ არაფერი შეიცვლება. თუმცა ისიც ცხადია, რომ ის, რასაც ახლა განვიცდი, აღარასოდეს განმეორდება.

— რის გაკეთებას გეგმავთ უახლოეს დღეებში?

— ახლა ყველას ერთი სული გვაქვს, კარგად დავისვენოთ, თუმცა საამისოდ არც ისე ბევრი დრო დაგვრჩა, რამდენიმე კვირაში ისევ ჩოგანთან მიბრუნება მოგვიწევს — სულ მალე ხომ ავსტრალიის ღია პირველობისთვის მზადებას უნდა შევუდგეთ.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ერთგულების ფორმულა

## კაცი მიდის, რეკორდი რჩება

ისევ გაურკვეველია დევიდ კულჰარდის საფორმულო ბედი. შოტლანდიელ პილოტს „მაკლარენ-მერსედესთან“ მორიგი კონტრაქტი დაუმთავრდა და სარეკორდო, ცხრასეზონიანი შეხმატკბილებული თანამშრომლობის შემდეგ „ვერცხლისფერი ისრების“ უფროსობამ ურთიერთობის გაგრძელება აღარ ისურვა.



ამის მიზეზი, ცხადია, კულჰარდის ბოლოდროინდელი ულიმლამო შედეგიანობაა. 2001 წლის მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონისთვის მომდევნო ორ სეზონში თითო რბოლის მოგება და შესაბამისად, მხოლოდ მეხუთე და მეშვიდე ადგილები ვერაფერი სახარბიელოა. ამას წლეულს კატასტროფა მოჰყვა, არათუ მოგება, პოდიუმზეც კი ვერ შედგა. შედეგად — თერთმეტწლიან კარიერაში ყველაზე უსუსური, მეათე ადგილი.

„მაკების“ ბოსობას 33 წლის დევიდზე რვა წლით უმცროს, შარშანდელ ვერცხლის პრიზიორ კიმი რაიკონენის და „უილიამსიდან“ გადაბირებულ „კოლუმბიელ ქარიშხლის“ ხუან-პაბლო მონტოიასი უფრო ეიმედება.

ერთი სიტყვით, „დი-სი“ (კულჰარდის ინიციალებიანი მეტსახელი) ჯერჯერობით უმუშევარია და ძნელი დასაჯერებელი კია, მაგრამ თუ მისი მსურველი არ გამოჩნდა, გამოვა, რომ მარტო „მაკლარენს“ კი არა, საერთოდ ფორმულა 1-ს დაემშვიდობა.

წლევანდელი სეზონიც ისე როგორ ჩაივლიდა, მიხაელ შუმახერს მორიგ საჩემპიონო ტიტულთან ერთად რამდენიმე „უკვდავი“ რეკორდიც არ გაეყოლებინა ხელისთვის: 13 დიდი პრიზი, ათი უსწრაფესი წრე, 148 ქულა და თანაფერარელ რუბენს ბარიკელოსთან ერთად გუნდური 262 ქულა.

არის კიდევ ერთი — ერთგულების რეკორდი, რომელშიც უდიადეს გერმანელს სწორედ კულჰარდი ჩაეზიარა. 2004 წლის ჩემპიონატი ორივესთვის მეცხრე იყო ერთი გუნდის („ფერარი“, „მაკლარენი“) შემადგენლობაში. ეს მართლაც უნიკალური მიღწევაა, „სამეფო რბოლების“ 55-წლიან ისტორიაში ამდენი ხანი ერთი საჯინიბოსთვის სხვას არავის უერთგულია.

მაგრამ ამ რეკორდს ქვეტექსტიც აქვს. 1996 წლიდან მოყოლებული, კულჰარდს ერთი ეტაპიც არ გამოუტოვია და ზუსტად 150 დაუგროვდა. მიხაელი მას ექვსით ჩამორჩა, რადგან ხუთი წლის წინ ინგლისში, „სილვერსტოუნის“ ტრასაზე უმძიმესი ავარიის გამო სწორედ ამდენი რბოლა გაუცდა.

„შუმინატორი“, ცხადია, შოტლანდიელის მიღწევას გააუმჯობესებს და ძალიან შორსაც წავა, რადგან არც „სკუდერიასთან“ განშორებას აპირებს და არც პენსიაზე ფიქრობს.

### ტვინჰოლმი

ესაა შოტლანდიის აღმოსავლეთით ერთი ბეწო სოფელი, სადაც დევიდი დაიბადა და 18 წლამდე ცხოვრობდა. სულ სამასიოდე მცხოვრები, ორმოცდაათამდე სახლი და ერთადერთი ორსართულიანი სასტუმრო. სამაგიეროდ იქ შვიდი სამიკიტნოა. მიყრუებული ადგილი ბოლო წლებში ლამის ტურისტულ ცენტრად იქცა და ტვინჰოლმს ზაფხულობით ყოველდღიურად ორასამდე ტურისტი სტუმრობს, რათა საკუთარი თვალით იხილონ „დი-სის“ მშობლიური სახლი და მუზეუმი, რომელიც მამამისმა პატარა გარაჟ-საწყობში გახსნა.

თავად მრბოლი იქ წელიწადში ერთხელ, შობის დღესასწაულზე თუ ჩადის. უმეტეს დროს ტრასებზე და მონტე კარლოში ატარებს მორიგ გულისსწორ, ბრაზილიელ მოდელ სიმონესთან ერთად.

„ალბათ არ გავხდებოდი ის, ვინც დღეს ვარ, ლონდონში ან მანჩესტერში რომ დავბადებულიყავი. იქ ხომ უამრავი ცდუნებაა.“

### სენას მაგივრად

კულჰარდის საფორმულო დებიუტი ათი წლის წინ შედგა „უილიამსში“. ფრენკ უილიამსმა ფორმულა 3000-ის 22 წლის მრბოლი თავის საჯინიბოში ტესტ-მძღოლად მიიღო, მაგრამ იმ დაწყევლილი სეზონის მეხუთე ეტაპზე მოუხდა ძირითადში გადაყვანა. მიზეზი ლეგენდარულ აირტონ სენას დაღუპვა გახდა.

1994 წელს დევიდი რვაჯერ გავიდა სტარტზე, 14 ქულა დააგროვა და ახალბედასთვის კი არა, ბევრი ძველისთვისაც მიუწვდომელი მერვე ადგილი დაიკავა. ტელეკომპანია ITV-მ „წლის საუკეთესო ახალგაზრდა სპორტსმენად“ დაასახელა. მომდევნო, პირველ სრულ ჩემპიონატში პირველი დიდი პრიზიც მოიგო (პორტუგალია) და 49 ქულით ბრინჯაოს პრიზიორი გახდა. 1996 წლიდან „მაკლარენში“ იყო, მოიგო 12 ეტაპი და საკარიერო 475 ქულაც დაუგროვდა (მეშვიდე შედეგი ფორმულა 1-ის ისტორიაში) 175 რბოლაში.

**გია ახალაძე**

### ასზე მეტი რბოლა ერთ გუნდში

| | | | |
|---|---|---|---|
| დევიდ კულჰარდი | დიდი ბრიტანეთი | მაკლარენი | 150 |
| მიხაელ შუმახერი | გერმანია | ფერარი | 144 |
| ჟაკ ლეფიტი | საფრანგეთი | ლიჟიე | 133 |
| მიკა ჰაკინენი | ფინეთი | მაკლარენი | 132 |
| ალენ პროსტი | საფრანგეთი | მაკლარენი | 118 |
| პიერლუიჯი მარტინი | იტალია | მინარდი | 111 |
| ნელსონ პიკე | ბრაზილია | ბრებემი | 105 |



დევიდ კულჰარდმა და მიხაელ შუმახერმა ერთგულების რეკორდი დაამყარეს



პრინცესა დაიანა და დევიდ კულჰარდი. ერის სიყვარული და ბრიტანული ავტოსპორტის ამომავალი ვარსკვლავი. 1994 — სილვერსტოუნი

# საქართველოს IX ეროვნული ჩემპიონატი

# ლოკომოტივი უმოტივოდ

## წამატებული წუთები, რომელმაც ჩემპიონი შეცვალა

შინაურ რაგბიში როგორც იქნა, ჩათავდა ათტურიანი მისვლა-მოსვლა და პლეი ოფის ჯერიც დადგა. თუმცა, სატურნირო ცხრილს რომ ხედავთ, აქ იმდენი შესწორებებია, ნიკო მუსხელიშვილი და ილია ვეკუაც ძლივს დაითვლიდნენ ქულებს. უფრო გასაგებად რომ ვთქვათ, რამდენიმე თამაში ვერ გაიმართა — ხან „აიას" სტადიონის გაზონს იწუნებდნენ, ხან კი ქუთათურები თავად ვერ ჩამოდიოდნენ თბილისში. ერთი-ორჯერ ბათუმის „დათვებმაც" ვერ მოახერხა დედაქალაქში სტუმრობა. ამას დაერთო „აკადემიის" მონაწილეობა შავი ზღვის რეგიონთა თასზე, რამაც კლუბს შიდა ჩემპიონატის მატჩები გამოატოვებინა და ცხრილი მთლად უსწორმასწორო გახადა.

ბოლოს სიტუაცია „ლოკომოტივი"—„ყოჩების" მატჩმა დაძაბა. მალხაზ ჭეიშვილის „ყოჩებმა" 27:25 იმარჯვეს და გამარჯვების მომტანი საჯარიმო წამატებულ წუთებზე შეაგდეს, თუმცა „ლოკოს" თავკაც თემურ ბენდიაშვილის აზრით მსაჯს დროის დამატების არავითარი მიზეზი არ ჰქონდა და ჩემპიონებმაც პროტესტი შეიტანეს. რაგბის კავშირის სადისციპლინო კომიტეტმა მატჩის შედეგი აღარ შეცვალა, რითაც „ლოკომოტივის" ბედი „აკადემიაზე" ჩამოჰკიდა. საქმე ისაა, რომ გუშინ მე-7 ტურის გამოტოვებულ მატჩში რკინიგზელთა კონკურენტი „ყოჩები" სწორედ აკადემიელებს ეკინებოდნენ და რომ მოეგოთ, საპლეიოფო მეოთხე ადგილზეც დამკვიდრდებოდნენ. ამ დროს კი „აკადემია" უმოტივაციოდ იყო — მეორე საფეხურიდან 0:100 წაგებაც კი ვერ დაძრავდა.

„ყოჩებმა" ასეთი შანსი ხელიდან არ გაუშვეს და გუშინ 16:12 იმარჯვეს, რითაც ჩემპიონობის იმედი დაიტოვეს, ხოლო „ლოკომოტივს" უმაღლეს ლიგაში დასარჩენად ქვედა ლიგაში მეორეადგილოსანთან თამაში მოუწევს. თუმცა...

რაგბის კავშირში საბოლოო პასუხს ვერ გვეუბნებიან — „ლოკო" კვლავ აპროტესტებს „ყოჩებთან" წაგებას, მაგრამ ისიც ითქვა, რომ ეს საკითხი მათ სასარგებლოდ ვერ გადაიჭრება. რაც შეეხება მეექვსე ადგილზე გასულ „აიას", ქუთათურები გაისად ისევ ქვედა ლიგაში დაბრუნდებიან.

**ილია ნანობაშვილი**



### საბოლოო ცხრილი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ლელო | 10 | 8 | 1 | 1 | 17 |
| აკადემია | 10 | 7 | 1 | 2 | 15 |
| დათვები | 10 | 5 | 0 | 5 | 15 |
| ყოჩები | 10 | 4 | 1 | 5 | 9 |
| ლოკომოტივი | 10 | 4 | 0 | 6 | 8 |
| აია | 10 | 0 | 1 | 9 | 1 |

### საპლეიოფო კალენდარი

11 დეკემბერი

შესარჩევი ფინალი

ლელო — აკადემია

გასავარდნი მატჩი

დათვები — ყოჩები

16 დეკემბერი

ფინალსწარი ფინალი

*ლელო – აკადემიაში წაგებული*

*VS*

*დათვები – ყოჩებში მოგებული*

22 დეკემბერი

დიდი ფინალი

*მარტივად რომ ავხსნათ, „ლელო" — „აკადემიას" შორის მოგებული პირდაპირ ფინალში გავა, ხოლო წაგებული მესამე-მეოთხე ადგილოსნებს („დათვები" — „ყოჩები") შორის გამარჯვებულს დაუპირისპირდება და ამ წყვილში ყოჩაღი მეორე ფინალისტი გახდება.*

*განვლილი ათი ტურის მიხედვით, ჩემპიონობის მთავარ ფავორიტებად მაინც ლევან მაისაშვილის ლელოელები უნდა ჩაითვალონ, რომლებმაც პირველი ტურის შემდეგ წაგების გემო არ იციან და მთავარმოცილე „აკადემიასაც" ერთი ბრძოლა 15:11 მოუგეს, მეორე კი ფრედ დაუმთავრეს — 20:20. მოკლედ, მთავარი მატჩები ანუ ნაღდი ჩემპიონატი 11 დეკემბერს იწყება...*

*როგორც რაგბის კავშირში გვითხრეს, პლეი ოფიც ვარკეთილის მეურნეობის სტადიონზე გაიმართება. ჯერჯერობით ასეა და თუ ვაკისკენ გამოიხედეს, ამას რა აჯობებს.*



# საქართველოს ოთხწლეული დაფასება

*ამ უქმეებზე ქართული ძიუდოს მედლების ყულაბაში ერთი ვერცხლიც ჩაჩხრიალდა – გიორგი ყიზილაშვილი ბუდაპეშტის აბსოლუტური ევროპირველობის ფინალში გავიდა. თუმც უნგრეთში ჩასულ ქართველთათვის ეს ერთადერთი წარმატება არ ყოფილა. ევროპული ძიუდოს შეფებმა საქართველოს ფედერაცია ევროპაში საუკეთესოდ დაასახელეს. უნგრეთში ერთი ფრიად მნიშვნელოვანი საკითხიც უნდა გადაწყვეტილიყო. ქართულმა დელეგაციამ საქმე სასურველად დაასრულა და თბილისში დაბრუნებულმა შოთა ხაბარელმა პირველი ეს გვახარა...*





არიელ ზეევის „საგარეჯოში" ჩამოყვანის საქმე შოთა ხაბარელმა თითქმის მოაგვარა

— ძიუდოს კლუბ „საგარეჯოში" ჯარჯი ზვიადაურის ჭიდაობა ოფიციალურად უნგრეთში გადაწყდა. ბერძნული ძიუდოს თავკაცებს ვესაუბრეთ და წინააღმდეგ არავინ წასულა. რაკი ვიცით, თვითონ ჯარჯის როგორ უნდა ქართველი ხალხის წინაშე გამოსვლა, ამ საქმეს უკვე მოგვარებულად ვთვლით.

— ბუდაპეშტში წასვლამდე „საგარეჯოში" არიელ ზეევის ჩამოყვანაც ახსენეთ. ებრაელებთანაც ხომ არ გისაუბრიათ?

— რა თქმა უნდა, ამ საკითხზეც ვიმუშავეთ, თუმც ბოლო სიტყვა თავად არიელ ზეევზეა. იგი ერთი თვეა, ინდოეთში ვარჯიშობს და, როგორც გვითხრეს, ისრაელში მალე უნდა დაბრუნდეს. როგორც კი იქ ჩავა, დაგვაკავშირებენ. მისი პირადი მწვრთნელი საქმის კურსშია და დახმარებასაც დაგვპირდა.

— ახლა იმ კონგრესზე გვითხარით, ევროპული ძიუდოს პრეზიდენტის არჩევნებით რომ დასრულდა.

— კონგრესზე ევროპის ქვეყნების ძიუდოს ფედერაციის თავკაცები შეიკრიბნენ. საქართველოდან მე და პრეზიდენტი დილარ ხაბულიანი ჩავედით. ერთ-ერთი მთავარი საკითხი პრეზიდენტის არჩევნები იყო და როგორც ჩვენ, ისევე სხვებმა მოქმედ თავკაც მარიან ვიზერის 2008 წლამდე დარჩენას დავუჭირეთ მხარი. იქვე ჩვენი ფედერაციის მუშაობაც შეაფასეს და ევროპის საუკეთესოდ დაგვასახელეს.

— ეს აღიარება მნიშვნელოვანწილად საქართველოს ათენურმა შედეგიანობამ განაპირობა?

— ცხადია, ესეც გაითვალისწინეს, თუმც საუკეთესოდ მარტო წლევანდელი სეზონით როდი გამოგვაცხადეს — ოთხწლიანი მუშაობა დაგვიფასეს. ამ პერიოდში კი მართლა ბევრი მედალი ავიღეთ. სხვა რომ არაფერი, ორჯერ ევროპის გუნდური ჩემპიონები გავხდით.

— ვიზერსაც ესაუბრეთ?

— ჯილდო მან გადმოგვცა. თან ბევრ საინტერესო საქმიან წინადადებაზეც ჩამოგვიგდო სიტყვა, თუმც კონკრეტულად რა სიახლეებს შემოგვთავაზებს, თბილისის საერთაშორისო ტურნირზე შევიტყობთ. ამ ტურნირზე ვიზერი აუცილებლად ჩამოვა.

— სხვა ფედერაციებისა და ნაკრებების თავკაცებთანაც ხომ არ მოგილაპარაკიათ, თუნდაც ერთობლივი ვარჯიშის თაობაზე?

— უამრავი ასეთი შემოთავაზება მივიღეთ, მაგრამ კონკრეტული პასუხი არავისთვის გვითქვამს. მომავალი წელი უკვე დაგეგმილი გვაქვს და კალენდარში შეკრებების ჩასმა ძალიან ძნელი იქნება. წინ ბევრი საერთაშორისო ტურნირი გველის.

— ბუდაპეშტშივე ჩატარებულ ევროპის აბსოლუტური პირველობით თუ დარჩით კმაყოფილი?

— სიმართლე გითხრათ, სამეულს ვგეგმავდი და რახან ყიზილაშვილმა მეორე ადგილი დაიკავა, კმაყოფილიც უნდა ვიყო. მართალია, წინასწარი ინფორმაცია არ დადასტურდა და ტურნირზე მხოლოდ ოცამდე მონაწილე მოგროვდა, მაგრამ ყველანი ისეთი ძლიერები, დიდი ბრძოლები გაჩაღდა. ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიურ ჩემპიონ-პრიზიორებში ახალგაზრდა, თანაც ასკილოგრამიანი ყიზილაშვილის ფინალში გასვლა ბევრისთვის მოულოდნელი აღმოჩნდა.

— ბოლოს ისევ „საგარეჯოზე" გკითხავთ. ზეევის ჩამოყვანა რომ გაიწელა, ბუდაპეშტში სხვა უცხოელი ხომ არ შეგითვალიერებიათ?

— არიელ ზეევის გადმობირებას იმედიანად ვუყურებთ. სულ მალე ალბათ სასურველ პასუხს მისგანაც მივიღებთ. სხვა კი მართლა არავინ შემირჩევია. ამ წონაში საქართველოშიც დიდი კონკურენციაა. ივერი ჯიქურაულს ყიზილაშვილის სახით მშვენიერი მემკვიდრე გამოუჩნდა, თან ჯერ თავადაც არ აპირებს პოზიციის დათმობას. ასე რომ, სხვა ლეგიონერის ჩამოყვანის აუცილებლობას ვერ ვხედავ

**ოთარ მაღლაკელიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რიოს ექსტრემალური ამბები

რიო დე ჟანეიროში კვადრატალონის შეჯიბრებები გახურებულა, თავის ყვინთვებით და სიგიჟეებით: კოპაკაბანაზეც და სხვაგანაც, სადაც საჭირო ადგილები მოინახა. სწორედ კოპაკაბანაზე აპირებს ყვინთვას ავსტრალიელი კაი ჰერსტი, პორტუგალი ნელიო სიმაო კი იესო მაცხოვრის განთქმულ კიბეზე ეშვება ველოსიპედით. რიოშივე ჩასულა განთქმული ავსტრიელი მამაცი ფელიქს ბაუმგარტნერი, რომელიც ზუსტად ხუთი წლის წინათ ამავ ქანდაკების ხელიდან გადმოხტა. ახლა ექსტრიმის მეფე ვერტმფრენიდან, 1000 მეტრის სიმაღლიდან გადმომხტარა შუა რიოში, პარაშუტი კი მაშინ გაუშლია, როცა მინამდე 50 მეტრი დარჩენილა.







REUTERS

# შანს ელიზეზე

ასე ჩამოიარა მიხაელ შუმახერმა ელისეს მინდვრებზე. „ფერარი" შუა პარიზში გონებადაქვეითებულ მოზარდთა ფონდის მხარდასაჭერად გამოჩნდა. ხალხიც ბლომად შეიკრიბა.



REUTERS



# ვრანგლერის კაცი

ლას ვეგასში როდეოა — ვრანგლერის ეროვნული ფინალები. და ნახეთ, რა დღეში ჰყავს ხარს ჯერი ბელი, კემპრუკელი კოვბოი, რომელმაც სავალდებულო რვა წამსაც გაძლო გიჟმაჟის ზურგზე და მეტხანსაც.


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კილურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ილია ნანობაშვილი, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხურიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქანქლაძე, ზურაბ წერეთელი



რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge